# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 ივნისი 2005 №128 (2450)
ფასი 50 თეთრი



**ვერაფერს გეტყვით**

ინტერვიუ ლევან მაღრაძესთან

4



**დაბრუნება შავ ლაქაში**

კარლოს ბიანკი ატლეტიკოს მწვრთნელია

5



F1 სამეფო რბოლების 9

**ბედისწერა, რომელსაც ტრიპსი ვერ გაექცა**

14

# სამშაბათის სამი ვარიანტი

## ინფორმაციული საუზმე, სადილი და ვახშამი კახა კალაძისთვის

დილის ინფორმაცია:
ლონდონელები ბასკ ასიერ დელ ორნოს ყიდულობენ, თუმცა... რომან აბრამოვიჩი შუადღისას მოსკოვიდან ლონდონს ჩავა და შეიძლება რამე შეიცვალოს.

შუადღის ინფორმაცია:
რუსული ვებ-გვერდები ავრცელებენ ცნობას, რომ კახა კალაძე „ჩელსისთან" დღეს გააფორმებს კონტრაქტს.

საღამოს ინფორმაცია:
რომან აბრამოვიჩი ლონდონშია და აცხადებს, რომ ჟოზე მაურინიოს გადაწყვეტილებას ელის.



# ალავერდი პრეზიდენტთან

## გაიზარდე დიდი ბიჭი: ვლადიმერ სტეფანია, ზაზა ფაჩულია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი საკალათბურთო სკოლას ხსნიან

...მე მარტო არ ვარ ამ საქმეში, არამედ შემონდ უილიამსი და არაერთი ამერიკელი ნაცნობი თუ ყოფილი თანაგუნდელი მიდგას გვერდში. ამას დაამატეთ ფაჩულიას და ცქიტიშვილის ნაცნობ-მეგობრები და ჩათვალეთ, რომ თუ ჩვენ საკალათბურთო სკოლას გავხსნით, მას საერთაშორისო ყურადღება არ მოაკლდება...

მე-12 გვერდი






# აბრამოვიჩის ფული მზადაა
## კალაძე თუ დელ ორნო?

**ორი** გუშინდელი ამბავი კახა კალაძეზე.

ინგლისელების შუადღის ცნობა: „მილანის“ ქართველი მცველის ტრანსფერი ინგლისის ჩემპიონ „ჩელსიში“ ჩაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძის ამ კლუბში გადასვლა 99,9 პროცენტით გადაწყვეტილი იყო, „ჩელსიმ“ ქართველის შეძენაზე უარი თქვა. მის ნაცვლად კი ბილბოელ ასიერ დელ ორნოს გადაიბირებს.

რუსების საღამოს ცნობა: „მილანის“ ქართველი მცველი ოთხშაბათის (ანუ დღეს), ინგლისის ჩემპიონ „ჩელსისთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რუსულმა სააგენტოებმა ეს ინფორმაცია გაავრცელეს „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორის, პიტერ კინიონის განცხადების საფუძველზე, სადაც კინიონმა დასძინა, კალაძესთან კონტრაქტის გაფორმებას სერიოზულად ვფიქრობთო.

ბოლო ლონდონური ინფორმაციით (ვფიქრობთ, ეს უფრო სარწმუნოა), „ჩელსი“ კალაძის შეძენაზე მართლაც ფიქრობს, უფრო სწორად კი, ფიქრობს მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, არჩევანი დელ ორნოზე შეაჩეროს თუ კალაძეზე.

„ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი კი ამბობს:

— ფული გამზადებული მაქვს და მწვრთნელის საბოლოო სიტყვას ველი. ვის გვარსაც მაურინიუ მეტყვის, „ჩელსიში“ ის ითამაშებს, ვგულისხმობ, კალაძეს ან დელ ორნოს. ვატყობ, გუნდის მწვრთნელი დელ ორნოსკენ იხრება, თუმც ეს კალაძეზე უარის თქმას არ ნიშნავს. არ გამოვრიცხავ, კახა კალაძის ტრანსფერი „ჩელსიში“ სულაც უახლოეს დღეებში მოხდეს.

მოკლედ, როგორც ჟოზე მაურინიუ იტყვის... კალაძე ან დელ ორნო. „ჩელსის“ პრეზიდენტის თქმით, სასწორი ბასკისკენ იხრება, თუმც არც ჩვენიანზე ჩაუქნევიათ ხელი. მწვრთნელმა კი საბოლოო სიტყვა დღეს-ხვალ უნდა თქვას.

ამჟამად კახა კალაძე მილანშია და, როგორც იმავე ლონდონელებისგან შევიტყვეთ, „ჩელსის“ საბოლოო გადაწყვეტილებას ელის. „ჩელსის“ ელის „მილანის“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპოც, რომელიც, მოგეხსენებათ, ინგლისელთა საკუთრებაა და სწორედ მის სანაცვლოდ ითხოვენ კახა კალაძეს...

ვნახოთ, რას იტყვის უცნაური და გონიერი მაურინიუ.

**ქობა ინასარიძე**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
### შესარჩევი ეტაპი

UNDER 21 Championship

| | |
|---|---|
| I ჯგუფი | III ჯგუფი |
| ჩეხეთი 2:0 მაკედონია | ესტონეთი 0:5 პორტუგალია |
| ფინეთი 1:2 ჰოლანდია | ლუქსემბურგი 0:2 სლოვაკეთი |
| II ჯგუფი | V ჯგუფი |
| ყაზახეთი 2:1 თურქეთი | ბელარუსი 3:2 შოტლანდია |
| საბერძნეთი 0:1 უკრაინა | VII ჯგუფი |
| დანია 7:0 ალბანეთი | ესპანეთი 4:2 ბოსნია |

VIII ჯგუფი

ისლანდია : მალტა

### ამხანაგური მატჩები

ახალგაზრდულები (U-21)

გერმანია 1:1 რუსეთი

შვედეთი 2:1 ნორვეგია

### შვედეთი

თასი

მეორე ეტაპი

იორგრიტე 1:1 ასირისკა

# დიდი და პატარა ამერი:
# ორი ჩემპიონი ერთ კლუბში

*საინტერესო ფაქტია: თბილისის „ამერმა“ ერთბაშად ორ ლიგაში გაიმარჯვა და ქართული ფეხბურთის საკლუბო კიბეზე თითო საფეხურით ამაღლდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიგო როგორც პირველ ლიგაში მოასპარეზე „დიდმა“ „ამერმა“, ასევე მისმა რეგიონული ლიგის ფარმ-კლუბმა. შესაბამისად, „დიდები“ მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გამოვლენ, ხოლო „პატარები“ პირველში*

ორივე გუნდმა ერთად — თუ ასე ანგარიში შეიძლება — 60 შეხვედრა ჩაატარა, 49 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 6 წააგო. საინტერესოა აგრეთვე, რომ ორივე ლიგაში საუკეთესო ბომბარდირი „ამერის“ მოთამაშე გახდა — პირველში სულიკო დავითაშვილი (30 გოლი), მეორეში რატი წინამძღვრიშვილი (34 გოლი). აქვე დავძინოთ, რომ წინამძღვრიშვილმა თავისი 11 გოლი „დიდების“ შემადგენლობაშიც გაიტანა, რაც, ფაქტია, 17 წლის ყმაწვილს მშვენიერ შედეგად უნდა ჩავუთვალოთ. პლუს, ორივე „ამერმა“ თავის ლიგაში სხვებზე მეტი გაიტანა, ნაკლები გაუშვა და... გაგვიჩნდა კიდეც სტატისტიკის წიგნებში ჩახედვის სურვილი. განა კლუბი „ამერი“ პირველია, წყვილად რომ აღზევდა ერთბაშად ორ ლიგაში?

გაირკვა, რომ არა. პირველი სოლიდური შედეგი, რაც მეხსიერებაში ბუნებრივად, ყოველგვარი წიგნის გარეშე ამოტივტივდა, თბილისის „დინამოს“ 1998 წლის შედეგი გახლდათ. მაშინ „დინამო“ საქართველოს, „დინამო 2“ კი პირველი ლიგის ჩემპიონი გახდა. თუ გახსოვთ, ერთი კლუბის ორი გუნდის ერთ ლიგაში თამაშის თავიდან ასარიდებლად ის „დინამო 2“ „თბილისად“ გადაკეთდა. ცნობისათვის: იმ „თბილისს“ დღევანდელ „თბილისთან“ საერთო არაფერი აქვს.

წინში კი ვნახეთ მეორე შემთხვევა, როდესაც „გურიასა“ და „ლოკომოტივი 2“-ის დროებითი გაერთიანება (რითაც „გურია“ პირველი ლიგიდან გაკარნების გადაურჩა) უმაღლეს ლიგაში „გურიის“ სახელით დაბრუნდა, მისი ფარმ-კლუბი „ლოკომოტივი 3“ კი რეგიონული ლიგიდან პირველში ავიდა. ეს 2000-2001 წლების სეზონში მოხდარა.

### პირველები

— ორივე გუნდის ხელმძღვანელობა ადვილი ნამდვილად არ იყო — გვითხრა ორთავ „ამერის“ მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ — მაგრამ ძალიან დამეხმარა, აქაც და იქაც ჩემპიონობის აზარტი და შესაბამისი განწყობა ბოლომდე რომ გაგვყვა ყველას. მიზნად უმაღლესსა და პირველ ლიგებში გადასვლა თავიდანვე გვქონდა დასახული, მაგრამ მიზანი აქ არ მთავრდებოდა. ორივეგან ჩემპიონობა გვსურდა. საბედნიეროდ, ეს შევძელით.

### გეოგრაფია

— გეოგრაფიულადაც, ცხადია, რთული იყო. ხშირად პირველი ლიგის თამაში სხვაგან გვქონდა, მეორისა კი სულ სხვაგან, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ კალენდარი გვიწყობდა ხელს. ჩვენს გუნდებს ერთ დღეს თამაში არ მოსწევიათ. ხშირად რეგიონულ ლიგაში ვთამაშობდით იმ დღეს, როდესაც პირველი ლიგის გუნდი ისვენებდა, ანუ ტურის მეორე დღეს. თუმცა ყოფილა ორდღიანი აცილებაც. ასეთ დროს „დიდი“ გუნდის ვარჯიშებს ან დილით ადრე ვნიშნავდით, ან მათ ჩემი თანაშემწეები ატარებდნენ. ისინი რომ არა, ალბათ ვერაფერს გავხდებოდი. დიდი მადლობა მათ, მერაბ კაშიას, გოჩა ჩიქოვანს (ისინი „ამერში“ აღარ მუშაობენ), მიხეილ ჯიშკარიანს; ოლეგ კასოევს, ანატოლი ბუზელას და ლევან აბაშიძეს.

### ერთი თუ ორი?

— ჩვენ ორი გუნდი გვყავდა, რომელიც იმავდროულად ერთი იყო. ხშირად საერთო მინდორზე ერთდროულად ორი განსხვავებული ვარჯიში მიმდინარეობდა. ძირითადი სქემა და სტრატეგია ორივე გუნდს ერთი ჰქონდა, მაგრამ განსხვავებული ციკლებიდან და კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაღაც-რაღაცების ცვლა გვიწევდა. ხშირად „პატარა“ გუნდის მოთამაშეები „დიდ“ გუნდში გამოდიოდნენ და პირიქით. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი სწორედ ისიც გახლდათ, რომ ერთნიცა და მეორენიც გულგრილობას არ იჩენდნენ. ახალგაზრდები ხელავდნენ, რომ უფროსები რეგიონულ ლიგაში თამაშსაც გულით ეკიდებოდნენ და ორ შეჯიბრებაში მონაწილე ერთი გუნდის შეგრძნება ეუფლებოდათ.

### ახალგაზრდული პრობლემები

— პირველ ლიგაში თამაში ხშირად უწევდათ დავით მჭედლიშვილს, რატი წინამძღვრიშვილს, გიორგი ელბაქიძესა და მირზა ბოლქვაძეს. ჩვენ ეს 17 წლის ბიჭები მუდმივი ფიზიკური და პედაგოგიური კონტროლის ქვეშ გვყავდა, რათა მათი გადატვირთვა ავეცილებინა თავიდან. რაც შეეხება მათ და სხვა ახალგაზრდების სურვილს, უფრო ხშირად ითამაშონ მთავარ გუნდში, ეს ნორმალურია. მთავარია, სპორტსმენი, რომელიც ძირითად გუნდში ვერ ხვდება, მიზნის მისაღწევად უფრო მოტივირებული გახდეს და მეტი იმუშაოს, ხოლო იმან, რომ მის ნაცვლად ჯერჯერობით სხვისას ამჯობინებენ, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს.

### გაძნელდება

— მომავალ სეზონში, როდესაც მთავარი „ამერი“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, ორი გუნდის ერთდროული ხელმძღვანელობა, ცხადია, უფრო გაძნელდება. ალბათ, დავიმატებთ მწვრთნელს, რომელიც მეტ დროს პირველი ლიგის „ამერს“ დაუთმობს. ეს გუნდი მთლად დამოუკიდებლად არა, მაგრამ უფრო მეტად გამოყოფილ გუნდად უნდა ჩამოყალიბდეს.

**პაპუნა ქედია**



ბადრი კეთილაძის ფოტო



„ოლიმპის" სტადიონს უქმობა ემუქრება

# თბილისი ისანს და ჩემპიონატს დასცილდა

## მამუკა გუგეშაშვილი: ნასროლი ქვები ყველას უკან დაუბრუნდება

სულ რაღაც ორი წლის წინ შექმნილმა „თბილისმა" უმალვე დაიგდო საქართველოს ერთ-ერთი რჩეული გუნდის სახელი, პირველივე სეზონში უეფას თასზე გავიდა და გულშემატკივრებიც გაიჩინა.
ჩვენს ქვეყანაში გამართული და სტაბილური კლუბის ჩამოყალიბება ძალიან ძნელია და პირველი ბზარი ხუთი თვის წინ გაჩნდა — „თბილისმა" 21 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ: პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ და დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადეს, კლუბი დაიშალაო...



მამუკა გუგეშაშვილი

**ეს ყველაფერი** „ტორპედო" — „თბილისის" სკანდალურ მატჩს არ მოჰყოლია. უბრალოდ, ქუთაისურმა ამბებმა ნავთი დაასხა ცეცხლს, რომელიც მანამდეც გიზგიზებდა. დოლიძეც და გუგეშაშვილიც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების მერე გადაწყვეტენ კლუბის მომავალს — თუ ისევ ისეთი სიბინძურე იქნება ჩემპიონატში, თუ გადასახადები ოდნავ მაინც არ შეუმსუბუქდათ კლუბებს, განზე გავდგებითო.

„კი არ დავიშალეთ, დაგვშალეს. რატომღაც არავინ აქცევდა ყურადღებას, რომ ბოლო ტურების ყველა საკვანძო მატჩი ჩაწყობილი იყო. მიმხვედრი მიხვდება, რომელ თამაშზეც ვამბობ და რადგან მე ხმა არ ამომიღია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩაწყობა-გარიგებას ყური უნდა შევაჩვიოთ. ამას აკეთებენ იმ გუნდის საზიანოდ, რომელმაც მეორე ეტაპზე 15 ფეხბურთელი გაუშვა. ქუთაისურმა ამბებმა საერთოდ წაგვიხდინა გუნება, ასეთ ჩემპიონატში მონაწილეობა არ ღირს" — გვითხრა მამუკა გუგეშაშვილმა.

„თბილისიდან" გაშვებულია მომსახურე პერსონალი და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც. გუგეშაშვილმა გვითხრა, რომ რევაზ ქემოკლიძე თბილისის „დინამოში" მიდის, გოგი ფიფია ერთ-ერთ ბალტიისპირულ კლუბში გააგრძელებს თამაშს, ბექა ჟღენტზე კი საფრანგეთიდან ყოფილა მოთხოვნა — მას საფრანგეთის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ კლუბში გავუშვებთ, თუმცა მისი გაყიდვა არ გვსურს, ჯერ ერთი ან ორი წლით გავანათხოვრებთო.

გუგეშაშვილის თქმით, სხვა ფეხბურთელებსაც აქვთ მიწვევა, მათ შორის გოჩა ხოჯავასაც, რომელიც ჯერჯერობით ისევ „თბილისის" საკუთრებაა.

გუნდი დაიშალა, თუმც ორმაგი ყურადღება მიექცევა „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას. გუგეშაშვილი ამბობს, მომავალი თაობა უნდა გავზარდოთ, ეს სტრატეგია ჩვენთვის სიახლე არაა და საქართველოს ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებებს სისტემატურად მივაწვდით ფეხბურთელებსო.

და ერთი სიახლეც: „თბილისმა" ხელშეკრულება გააუქმა „ოლიმპის" სტადიონთან, ანუ ისნის სარბიელს აღარ გაეკარება. „მსგავს სტადიონს, მსგავსი საფარით „ოლიმპის" ბავშვთა სკოლაში გავაშენებთ. ბუნებრივია, ტრიბუნებიც იქნება. გარდა ამისა, ერთი ხელოვნურსაფარიანი და ერთიც მინი-მოედანი უნდა მოვაწყოთ სკოლაში" — თქვა გუგეშაშვილმა.

„თბილისის" დამფუძნებელმა ისიც აღნიშნა, ჩემპიონატი ჩემპიონატს დაემსგავსოს და მერე ნახავენ, ის ნასროლი ქვები ყველას უკან თუ არ მიუბრუნდებაო.

მოკლედ, კლუბი თავის ნებას ასე გამოხატავს — ვნახოთ, რა გუნდით მოვა ფედერაციის ახალი პრეზიდენტი სათავეში, შეუმსუბუქდებათ თუ არა კლუბებს ფინანსური მდგომარეობა.

თუ შემუშავდა ისეთი საფეხბურთო კანონი, როგორიც თუნდაც აზერბაიჯანსა და თურქეთშია, მაშინ „თბილისი" ძველ სახეს დაიბრუნებს.

„სხვა შემთხვევაში ფეხბურთი არ იქნება საქართველოში" — ასეთია გუგეშაშვილის და არა მარტო მისი აზრი...

**ილია ნანობაშვილი**

# დაალომბარდებს ვიტ ჯორჯია პაპას?

## თბილისი სამასი ათასს გადაურჩა

**გადაწყდა:** ინტერტოტოს თასზე საქართველოდან „ვიტ ჯორჯია" ითამაშებს. გეხსომებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე უეფაში წერილი გააგზავნა, რომ ამ ტურნირზე „თბილისი" გავიდოდა, რომელსაც რეალურად ეკუთვნოდა ეს ადგილი. თუმც, მერე რაც მოხდა, იცით — თბილისელებმა უარი განაცხადეს ევროპაში გასვლაზე, რა დროს ინტერტოტოა, გუნდი თავზე გვენგრევა და მომავალ სეზონში ჩემპიონატში თუ ვითამაშებთ, ეგეც არ გადაგვიწყვეტიაო.

თანაც, ინტერტოტო ხომ წამგებიანი ტურნირია, მეტადრე იმ კლუბებისთვის, რომლებსაც იქიდან უეფას თასზე გადასვლის შანსი არა აქვთ, ანუ დაბალი კლასისანი არიან.

უარის შემთხვევაში უეფა კლუბს 300 000 დოლარით აჯარიმებს, თუმც გამოსავალი აქაც მოიძებნა: გუშინ ფედერაციაში გვითხრეს, უეფას თხოვნით მივმართეთ, ავუხსენით მდგომარეობა და ისინიც გაგებით მოგვეკიდნენო. ოღონდ თბილისელთა ადგილი ინტერტოტოზე სხვა კლუბს უნდა დაეკავებინა და ეს კლუბიც ახლა უკვე ცნობილია — ფედერაციამ ხელახლა აფრინა წერილი უეფაში, ინტერტოტოზე „ვიტ ჯორჯია" ითამაშებსო.

ვეტერინარია მეტოქე პირველ წრეში უნგრული „ლომბარდ პაპა" (სხვაგვარად „ტატაბანია") იქნება. ამ გუნდმა ქვეყნის 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილი დაიკავა და აქედანაც ცხადია, რა ხვითოცაა.

პირველი მატჩი 19 ივნისს გაიმართება უნგრეთში, საპასუხო კი 25-26 ივნისს თბილისში. თუ „ვიტ ჯორჯია" „ლომბარდ პაპას" ბარიერს გასცდა, მაშინ 2-3 და 9-10 ივლისს შვედურ ან ლუქსემბურგულ კლუბს დაეჯახება.

ერთიცაა, ვიტელთა გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ გვითხრა, უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია დღეს დაგვიკავშირდება და ზუსტად გვაცნობს, რომელი კლუბი შეგვხვდება ინტერტოტოზე, ჯერჯერობით კი ჩვენც არ ვიცით, რომ „ლომბარდ პაპას" უნდა ვეთამაშოთო.

მოკლედ, ასეთი აბურდულ-დაბურდულია ეს ინტერტოტო. გარდა არავის ეხატება და კაკაურიძემ ისიც გვითხრა, მაინცდამაინც არც ჩვენ გვინდოდა იქ თამაში, 17 ივნისამდე გუნდს შვებულება ჰქონდა და ახლა 10-დან უნდა დავიწყოთ ფორსმაჟორული მზადებაო.

„სხვა გამოსავალი არ იყო. ცალკე პროფლიგას, ცალკე „თბილისსაც" გავუწიეთ ანგარიში და ინტერტოტოზე გასვლას დავთანხმდითო" — დასძინა კაკაურიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

### ვიტ ჯორჯია ინტერტოტოს თასზე

2000-2001

პირველი წრე

რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2

მეორე წრე

ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1

2001-2002

პირველი წრე

ლოკერენი (ბელგია) 1:3, 3:2

2002-2003

პირველი წრე

პაშინგი (ავსტრია) 0:1, 2:1



დავით დიღმელაშვილის „ვიტ ჯორჯიისთვის" ინტერტოტოს თასზე თამაში უცხო არ არის

ალბანეთთან ჩატარებული საშინელი მატჩის შემდეგ ქართველ ფეხბურთელებზე საქებარი სიტყვები, აბა, ვის დასცდება, მაგრამ, ალბათ, ლევან მაღრაძე ყველაზე ნაკლებად იმსახურებს კრიტიკას. ბერძნული „ქსანთის“ მარჯვენაფლანგელს ალენ ჟირესის გუნდში დებიუტი ჰქონდა და ალბანეთთან მატჩის გარდა ისიც საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დარჩა მას საქართველოს ნაკრებზე. ამ თემებზე სასაუბროდ ლევანს გუშინ შევეხმიანეთ...



# ვერაფერს გეტყვით

## ლევან მაღრაძემ საქართველოს ნაკრებში ის ვერ ნახა, რაც ეგონა

— როგორი საკითხავია, მაგრამ მაინც გკითხავ: რას იტყვი ალბანურ მატჩზე?

— რა უნდა ვთქვა... რა ვიცი... ვერაფერს გეტყვი. თავიდანვე ორი გოლი გაგვიტანეს და...

— ამან იმოქმედა?

— ამანაც, მაგრამ მარტო ამაზე გადაბრალება სისულელეა. მოკლედ რომ ვთქვა, თამაში აშკარად ჩავაგდეთ.

— ასეთ სუსტ თამაშს მაინც არავინ ელოდა...

— ამ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. ალბანეთთან თამაშს კი სატურნირო თვალსაზრისით ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ალბათ ქვეცნობიერად ამანაც იმოქმედა.

— ანუ გუნდს მოტივაცია აკლდა?

— არ ვიცი, რა აკლდა...

— საქართველოს ნაკრებისგან მეტს ელოდი?

— მეტს როგორ არ ველოდი... ასეთი ფეხბურთელები გვყავს და ნაკრებიც შესაბამისი ძალის უნდა იყოს.

— ალენ ჟირესზე რას იტყვი?

— კარგი პიროვნება და მწვრთნელია. მეტი რა ვთქვა, ახლახან გავიცანი.

— ნაკრებში დებიუტი გქონდა და საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?

— ცოტას მართლა ვნერვიულობდი, მაგრამ ეს პერიოდი უკვე გადავიტანე და მომავალშიც თუ მომეცემა ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაშის შანსი, თავს არ შევირცხვენ.

— მეორე ტაიმში შეცვლა თავად მოითხოვე?

— კი, ერთ ეპიზოდში ფეხი გადამიბრუნდა და ტკივილს ველარ გავუძელი.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# იაშვილის 28

## შარშან ვოლფსბურგში იყო...

*ბუნდესლიგიდან გავარდნილი „ფრაიბურგის“ ქართველი ფორვარდის, ალექსანდრე იაშვილის მომავალი კლუბი ჯერ ისევ გაურკვეველია. „ფრაიბურგის“ ქართველისო, ვამბობთ, მაგრამ არც ის გვავიწყდება, რომ იაშვილს გუნდის ხელმძღვანელებთან ისეთი შეთანხმება აქვს, რომ თუ მის შეძენას სხვა გუნდი გადაწყვეტს, „ფრაიბურგი“ სანაცვლოდ მინიმალურ თანხას მოითხოვს.*

*იურიდიულად იაშვილ-„ფრაიბურგის“ კონტრაქტი კიდევ ერთწლიანია, ანუ უარეს შემთხვევაში ჩვენიანს გაისად მეორე ბუნდესლიგაში თამაში მოუწევს. თუმც ქართველ ფეხბურთელს მეორე ბუნდესლიგის გაგონებაც არ სურს...*



— „ფრაიბურგი“ ახალი სეზონისთვის მზადებას 28 ივნისს იწყებს, იქამდე კი ალბათ გუნდს დავემშვიდობები და კარიერას სხვაგან განვაგრძობ — გვითხრა გუშინ ალექსანდრე იაშვილმა — 28-მდე თუ ჩემი ახალი გუნდის ვინაობა არ გაირკვა, სხვა რა გზაა, „ფრაიბურგში“ უნდა დავრჩე. არადა, მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მსურს.

— **როგორც ვიცით, „ფრაიბურგში“ კიდევ ერთი სეზონი დაგრჩა სათამაშო. სხვაგან გადასვლას კი ფიქრობ, მაგრამ...**

— კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებული ვარ და ჩემ სანაცვლოდ ისინი მინიმალურ თანხას მოითხოვენ. იმდენს, რამდენსაც ბუნდესლიგის ნებისმიერი გუნდი უპრობლემოდ გადაიხდის.

— **ბუნდესლიგის ნებისმიერი გუნდიო, თქვი, ანუ...**

— „ნიურნბერგი“ და მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ვიგულისხმე. მათგან უკვე მივიღე გარკვეული შემოთავაზება და ახლა საბოლოო პასუხს ველი.

— **გავიგეთ, „დორტმუნდიც“ გიწვევს.**

— იყო ასეთი ვარიანტიც, მაგრამ გამოირიცხა.

— **ესე იგი, „ნიურნბერგი“ ან „ბორუსია“?**

— მესამე გუნდიც არის, ოღონდ რომელი, ნუ მკითხავ.

— **„ფრაიბურგში“ თუ არ დარჩი, მაინცდამაინც ბუნდესლიგაში უნდა ითამაშო?**

— ბუნდესლიგაში დარჩენა ძალიან მინდა. ისე კი, რუსული და ფრანგული გუნდებიდან ბევრი წინადადება მაქვს.

— **შარშან ამ დროსაც ასეთი ვითარება იყო — სხვა გუნდები გიწვევდნენ, მაგრამ „ფრაიბურგთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმე. ახლაც რომ იგივე მოხდეს?**

— არადა, შარშან ამ დროს „ვოლფსბურგში“ ჩემი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, გამზადებული კონტრაქტი მელოდა. ვიფიქრე, „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დარჩება-მეთქი და ლამის მშობლიური ქალაქის გუნდში დარჩენა გადავწყვიტე. სამწუხაროდ, „ფრაიბურგი“ გავარდა და ახლა უკვე ბუნდესლიგის სხვა გუნდზე ვფიქრობ.

**კობა ინასარიძე**

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი**

**ჩვენი მეტოქე**

# ერსუნ, წადი!

## იანალს ფრეს ვერ პატიობენ, შუქურს სექტანტობას



ერსუნ იანალი

**საბერძნეთთან** ნათამაშები 0:0-ის მერე თურქეთის ნაკრები შესაძლოა უმწვრთნელოდ დარჩეს. ერსუნ იანალს თურქული პრესა შეუჩნდა და ფედერაციას მის მოხსნას სთხოვს.

„ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევენტ ბიჩაქჩის უკვე სანანებელი აქვს, თავის დროზე იანალს რომ ჩააბარა ნაკრები“ — წერს სტამბოლური „საბაჰი“.

შეგახსენებთ, რომ იანალის მოხსნაზე თურქები პირველად არ ალაპარაკებულან. ჯერ კიდევ ორიოდ თვის წინ, საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე ამბობდნენ, იანალი თბილისიდან სამ ქულას თუ არ წამოიღებს, ნაკრებს დაემშვიდობებაო. მაშინ ერსუნ ბეი გადარჩა — მისმა გუნდმა საქართველო 5:2 დაამარცხა, ახლა კი...

თურქები უკვე იანალის შემცვლელზე ბჭობენ. ვარიანტი ორია — ფათიჰ თერიმი და მირჩა ლუჩესკუ, რომლებმაც თავის დროზე „გალათასარაის“ მწვრთნელობით გაითქვეს სახელი.

თურქი ჟურნალისტები ნაკრებში შექმნილ ცუდ ვითარებას ყველაზე კაშკაშა თურქ ფეხბურთელს, ჰაკან შუქურსაც აბრალებენ — დროა, იგი საბოლოოდ ჩამოვაშოროთ ნაკრებსო. მიზეზად შუქურის ფუნდამენტალისტთა სექტაში გაწევრიანება მოაქვთ, მაგრამ აღშფოთებულმა ფორვარდმა ამის თაობაზე თქვა, არც ერთ რელიგიურ სექტასთან კავშირი არ მაქვსო.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# თვალი თვალი



*თბილისის „ამერი“ პირველი ლიგის ჩემპიონია. ეს ამბავი გუშინწინ გაირკვა, თბილისელებმა მთავარი კონკურენტი „ბორჯომი“ შინ 2:1 დაამარცხეს და პირველობაც გაინაღდეს.*

*ფოტოზე ასახული ეპიზოდის ეპიცენტრში კი ამერელი დავით სვავასტოპულოა — აი, ასეთი ბრძოლების გადატანაც უხდებოდათ თბილისელებს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად.*

# ჩელსის ხლართები
## არნესენი, კოული, ჯერარდი




სტივენ ჯერარდი ჟოზე მაურინიომ ისევ გაიხსენა

**ჩანს,** „ჩელსი" იოლად ვერ დაიხსნის თავს „ტოტენჰემისგან", რომლის ტექნიკური დირექტორის, ფრენკ არნესენის უწუმრად გადაბირებას ცდილობდა.

მოგეხსენებათ, „ტოტენჰემმა", „ჩელსი" აკრძალულ მოლაპარაკებებში დაადანაშაულა, თუმცა, პრემიერლიგის კომიტეტში საჩივარი ჯერ არ შეუტანია. თავიდან, „ტოტენჰემი" 10 მილიონ გირვანქას ითხოვდა, ახლა კი „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ თავისი დირექტორის სანაცვლოდ სკოტ პარკერი და მიკაელ ფორსელი უნდა.

ეს ფეხბურთელები „ჩელსის" ძირითადში ვერ ხვდებიან. ყოფილი ჩარლტონელი პარკერი 6 მილიონ გირვანქადაა შეფასებული და მასზე „ევერტონი" და „ნიუკასლი" ნადირობენ, ფინელი ფორსელი კი ბოლო ორ წელიწადს „მიონხენგლადბახსა" და „ბირმინგემში" იყო გაქირავებული და იქიდან მუხლის სერიოზული ტრავმით დაბრუნდა.

„ევერტონს" ფორსელიც უნდოდა, ოღონდ მისმა ქრონიკულმა ტრავმებმა შეაშინა.

„ჩელსიმ" უარყო, რომ არნესენს „ტოტენჰემის" ზურგსუკან ელაპარაკებოდა. კლუბი ჯერაც არაა გამოსული იმ სკანდალიდან, რაც ეშლი კოულთან საიდუმლო მოლაპარაკებებს მოჰყვა. „ჩელსი" და მისი მენეჯერი ჯარიმებით დაისაჯნენ, ხოლო „ჩელსი" და მისი მენეჯერი ჯამურად ნახევარ მილიონით დაჯარიმდნენ. არსენალელმა კოულმა კი უკვე შეიტანა სარჩელი პრემიერლიგის დამოუკიდებელი კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც ის „ჩელსისთან" მოლაპარაკებისთვის 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

ამასობაში, კი „იუვენტუსმა" უკვე მოითხოვა კოული. „არსენალის" პასუხი მოკლეა: 15 მილიონი გირვანქა.

რაც შეეხება ფრენკ არნესენს, მან პირდაპირ განაცხადა, რომ „ჩელსი" ძალიან კარგია იმისთვის, რომ იქ არ გადახვიდე.

„ჩელსი" კი სხვა რამესაც ელის: სამ კვირაში დაიწყება „ლივერპულის" უფროსობის მოლაპარაკებები გუნდის კაპიტან სტივენ ჯერარდთან. ლაპარაკია კვირაში 80 ათასიან ხელფასზე.

„ჩელსი" მთელ წელიწადს ცდილობდა, რომ ჯერარდი გადაებირებინა, თუმცა ფეხბურთელმა ბოლოს აზრი იცვალა და კვლავ „ენფილდს" ერთგულობს. მაგრამ, თუ მოლაპარაკებები გართულდა...

რახან ჯერარდის იმედი აღარ ჰქონდა, „ჩელსიმ" ლიონელ სუპერვარსკვლავ მიკაელ ესიენს დაადგა თვალი. თუმცა „ლიონმა" ახალი კონტრაქტი შესთავაზა ესიენს და ჟოზე მაურინიუც კვლავ ჯერარდს დაადგა თვალი.

ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ „ლივერპულმა" ვერ მოახერხა სწრაფი გასაუბრება ჯერარდთან. კლუბის თავმჯდომარე რიკ პერი ბარბადოსზე გაფრინდა, ხოლო რაფა ბენიტესი ორშაბათს დაბრუნდა მადრიდიდან, ისევე, როგორც ჯერარდი შვებულებიდან. თვით სტივის აგენტი, სტრაუნ მარშალიც კი მოულოდნელი იყო — მან ცოლი შეირთო.

ის, რომ „ლივერპული" საჯაროდ არ ელაპარაკა ჯერარდს, ჭორებს ბადებს „ენფილდზე". კაპიტანს ძველი კონტრაქტით ორი წელიწადი კიდევ დარჩა „ლივერპულში". კლუბმა 30 მილიონი გირვანქა აიღო ჩემპიონთა ლიგის მოგებაში და ამ ფულის 2/3 ტრანსფერზე უნდა დაიხარჯოს. თუ ჯერარდი გაიყიდება, ეს კლუბს კიდევ 35 მილიონს მოუტანს, თუმცა სხვა დანაკლისს გაზრდის.

მოკლედ, ჟოზე ჩასაფრებულია.

ერთი ლივერპულელი კი ნაღდად წავა გუნდიდან: „ლიონში" მისულ ჟერარ ულიეს თავისი ძველი ფავორიტი, მილან ბაროში უნდა. რაფა თითქმის თანახმაა, მას ბაროში დიდად არ მოსწონს.

**ირაკლი გამყრელიძე**

ალბერტო ჯილარდინოს მამამ ჯანფრანკომ, რომელიც შვილის საფეხბურთო ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული, „მილანის" ქომაგებისთვის გუშინ სასიხარულო განცხადება გააკეთა — ალბერტოს თავისი მომავალი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი აქვს და „როსონერის" მაისურას მოირგებსო. შეგახსენებთ, რომ „პარმას" ფორვარდს სხვა გრანდებიც უტრიალებენ და ცოტა ხნის წინ, „ჩელსიმ" „ენიო ტარდინის" ბინადრებს 43 მილიონი ევროც კი შესთავაზა, მაგრამ ლონდონში გადასვლა თავად ფეხბურთელმა იუარა

# ჯილარდინო მამამ გაყიდა
## პარმელი მილანს გააცხადებს, მილანი ლიუნგბერგს

**ჯანფრანკო** ჯილარდინო: „ალბერტომ ყველაფერი გადაწყვიტა — იგი „მილანში" ითამაშებს. მართალია, ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ ამას 18 ივნისს, „ბოლონიასთან" გადათამაშების საპასუხო მატჩის შემდეგ იტყვის. რაც შეეხება „რეალსა" და „ჩელსის", ჩემ შვილს იტალიის დატოვება არ უნდა, „იუვენტუსისგან" კი წინადადება საერთოდ არ მიგვიღია".

პარალელურად „მილანი" კიდევ უფრო გაძლიერებაზე ფიქრობს — გალიანი და კომპანია იოჰან ფოგელისა და მარეკ იანკულოვსკის შეძენით, როგორც ჩანს არ კმაყოფილდებიან და ჯილარდინოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ახლა არსენალელ ფრედი ლიუნგბერგსაც უტრიალებენ.

შვედ ნახევარმცველს მარჯვენა ფლანგის გაძლიერება რომ ეხერხება და ნებისმიერ გუნდს ძალიან წაადგება, კარგად მოგეხსენებათ. მან ცოტა ხნის წინ განაცხადა, „არსენალთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებო და მყისვე ბევრი მსურველი გაუჩნდა.





ალბერტო ჯილარდინომ მომავალი გაარკვია, ფრედი ლიუნგბერგმა კი ვერა

ერთი სიტყვით, ფოგელი, იანკულოვსკი, ჯილარდინო და ლიუნგბერგი — „მილანი" მართლა არ ხუმრობს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# დაბრუნება შავ ლაქაში
## კარლოს ბიანკი ატლეტიკოს გაწვრთნის



კარლოს ბიანკი

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ახალი მწვრთნელი ჰყავს — არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" ყოფილი თავკაცი კარლოს ბიანკი.

ბიანკი 56 წლისაა. ივლისში ზუსტად ერთი წელიწადი შესრულდება, რაც მას აღარ უმუშავია. იგი „ატლეტიკოში", წინა კვირას გათავისუფლებული სეზარ ფერანდოს ადგილს დაიკავებს. სეზარ ფერანდოს სამსახურიდან მოხსნის მიზეზი კი მადრიდელთათვის მიუღებელ მეთერთმეტე ადგილზე გასვლა იყო.

კარლოს ბიანკიმ კი თავისი დროის „ბოკა", ცხრილის შუიდან სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდობამდე აამაღლა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა სამჯერ ლიბერტადორესის თასი მოიგო, ხოლო ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი.

ფეხბურთელობისას ჩინებულმა თავდამსხმელმა („ველეს სარსფილდი" და „პარი სენ ჟერმენი") შარშან, სექტემბერში არგენტინის ნაკრების გაძღოლაზე თქვა უარი და ხოსე პეკერმანმა თანამდებობა მხოლოდ ამ უარის შემდეგ მიიღო, თუმცა მის სამწვრთნელო კარიერაში არის შავი ლაქებიც. ერთ-ერთი ასეთი ლაქაა ევროპა, სადაც ცნობილ [illegible] არასწორის გამოყენებით მან უმუშავია ფრანგულ „რეიმსში", „ნიცაში" და [illegible] „პარიზში", თუმცა ამ კლუბებში ვერაფერს რომ ვერ მიაღწია, 1993 წელს სამშობლოში დაბრუნდა, მშობლიური „ველესი" ჩაიბარა და სამჯერ არგენტინის ჩემპიონობა მოაპოვებინა, თითოჯერ კი ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები. 1996 წელს „რომაში" მისვლის კი ცუდი შედეგების გამო 1997 წელსვე მოუხდა გუნდის დატოვება.

ამის შემდეგ ბიანკის ცხოვრებაში „ბოკას" ტრიუმფის დრო დადგა.

რაც შეეხება „ატლეტიკოს", მოგეხსენებათ, ის ტიტულებით ესპანეთის მესამე გუნდია, ოღონდ ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული 1996 წლის შემდეგ არ მოუგია.

**პაპუნა კედია**

# ეტოო არ იყიდება

**„შემიძლია,** დაგარწმუნოთ, რომ მომავალ სეზონშიც „ბარსელონაში" ვითამაშებ. „კამპ ნოუზე" თავს მშვენიერად ვგრძობ და არსად წასვლას არ ვაპირებ" — განუცხადა სამუელ ეტოომ „კატალუნია რადიოს".

მოგეხსენებათ, კამერუნელმა თავდამსხმელმა წლევანდელ სეზონში მეტოქეებს 24 გოლი შეუგდო და გუნდსაც ჩემპიონობაში მნიშვნელოვნად შეეწია. ასე რომ, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ჩელსის" მიერ უკვე შეთავაზებული 50 მილიონი ევრო, „ბარსელონას" შეფუძას ეტოოს გაყიდვას მაინც ვერ აფიქრებინებს.

მისი გასხვისების კატეგორიული წინააღმდეგია, გუნდის ჰოლანდიელი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდიც.

„ბევრია ისეთი, სეზონში 30 გოლის გატანა რომ შეუძლია? ეტოომ კი შეძლო. იგი სუპერთავდამსხმელია და თავის ოსტატობას მომავალშიც კიდევ ბევრჯერ გვიჩვენებს".

**ლადო ხომერიკი**



სამუელ ეტოო ცოლთან ერთად
ბარსელონიდან წასვლას არ აპირებს

# მანჩესტერის სურვილები ვილა და პარკი



ჯი-სუნგ პარკს „მანჩესტერ იუნაიტედი" იწვევს

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრს განაგრძობს და ახალ ფეხბურთელებს ეძებს. შოტლანდიელმა სპეციალისტმა ამჯერად მიზანში „პსვ ეინდჰოვენის" კორეელი ნახევარმცველი ჯი-სუნგ პარკი და „სარაგოსას" ფორვარდი დავიდ ვილა ამოიღო.

კორეელი ფეხბურთელის აგენტმა კაილ დეკერმა აღნიშნა, რომ მისი კლიენტი ამ წინადადებამ ძალიან დააინტერესა, მაგრამ გუს ჰიდინკთან დალაპარაკებამდე არაფრის გადაწყვეტას არ აპირებს.

„ჩვენ „მანჩესტერთან" ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მის შენარჩუნებას ვაპირებთ. გარკვეული პრობლემები პირადად ფერგიუსონთან გვქონდა, როდესაც მისი ზედმეტი აქტიურობით და ჩვენი ფეხბურთელებისადმი გადაჭარბებული ინტერესით ვიყავით უკმაყოფილო, მაგრამ ესეც წარსულში დარჩა. გუნდის ბირთვის დაშლა არ გვინდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოლო სიტყვა თავად პარკზე იქნება, რომელსაც მართლაც ჩინებული სეზონი ჰქონდა" — აღნიშნა ეინდჰოვენელთა წარმომადგენელმა პედრო სალასარ-ჰიუიტმა.

რაც შეეხება 23 წლის დავიდ ვილას, იგი უკვე მესამე სეზონია, თავისი კარგი თამაშით ყურადღებას რომ იქცევს. როგორც ამბობენ, „სარაგოსა" მას 12 მილიონ ევროდ აფასებს. ახალგაზრდა ფორვარდის შეძენა ძალიან სდომებია „ვალენსიასაც", მაგრამ „ღამურები" მხოლოდ 9 მილიონის გადახდაზე ყოფილან ყაბულს.

ფეხბურთელის აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ კი განაცხადა, „მანჩესტერმა" ჩემთან მოლაპარაკება უკვე დაიწყო და ჩემი კლიენტის შეძენაზე სერიოზულად ფიქრობსო.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ლაციომ ლე გუენი ჯერ ჩაიყვანა



პოლ ლე გუენს და „ლაციოს" ჯერაც სალაპარაკო აქვთ

**რა ხანია**, იტალიური პრესა აქტიურად განიხილავს რომის „ლაციოს" მომავალი მწვრთნელის შესაძლო კანდიდატურებს. ჩამოთვლილთა გვარები მრავლად იყო და ისინი ძირითადად, იტალიელი ან სერია A-ში მომუშავე უცხოელები არიან. გუშინ კი გავრცელდა საკმაოდ მოულოდნელი ინფორმაცია — დიდი შანსია, ჯუზეპე პაპადოპულოს შემცვლელი „ლიონიდან" რამდენიმე კვირის წასული პოლ ლე გუენი გახდესო.

მოგეხსენებათ, ფრანგი სპეციალისტის სახელს აქამდე ბერძნულ „ოლიმპიაკოსსა" და თურქულ „ფენერბაჩეს" უკავშირებდნენ, მაგრამ სტამბოლური კლუბი ბელგიელმა ერიკ გერეტსმა ჩაიბარა და არც ბერძნების ვარიანტიდან გამოვიდა რამე. თავის ყოფილ კლუბ პსჟ-ში მისვლისგან კი თავად ლე გუენმა შეიკავა თავი.

პოლ ლე გუენი ახლა იტალიაშია და „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს უკვე შეხვდა. ამბობენ, ლე გუენი სეზონში 700 ათას ევროს ითხოვს ხელფასად, ხოლო ფინანსურ გასაჭირში მყოფ რომაელებს მხოლოდ ამის ნახევრის გადახდის თავი აქვთო.

მხარეები კიდევ ერთხელ აპირებენ დალაპარაკებას და თუ შეთანხმება ისევ ვერ შეძლეს, ამ პოსტზე მთავარი კანდიდატი „ატალანტასა" და „ლეჩეს" ყოფილი თავკაცი დელიო როსი ხდება.

და ერთიც: გადაწყდა, რომ „ლაციო" ინტერტოტოს თასზე ითამაშებს და უეფას თასზე მოხვედრას აქედან შეეცდება. დედაქალაქელები ტურნირში 16 ივლისს ჩაერთვებიან მესამე ეტაპიდან. იტალიის საფეხბურთო ლიგამ ინტერტოტოს თასზე ჩართვა „ლივორნოსაც" შესთავაზა, მაგრამ პასუხად ცივი უარი მიიღო, არაფრის მომცემ ტურნირში არაფერი გვესაქმებაო.

**გიორგი ქაქაბაძე**

*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების პარალელურად ევროპაში ამხანაგობის დღეცაა, ანუ ის გუნდები, რომლებიც ოფიციალური თამაშებისგან თავისუფალნი არიან, ერთმანეთთან შეხლაში მოსინჯავენ ძალას. ამ მატჩთაგან კი გამოსარჩევი გერმანია — რუსეთისა და იტალია — სერბეთის დაპირისპირებაა. ქვემოთ, ტრადიციული ანონსის ნაცვლად, მოგითხრობთ მუნდიალის მასპინძელ ბუნდესნაკრებზე, რომელმაც შაბათს, ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიას სანაქებოდ მოუგო 4:1, დღეს კი დიუსელდორფში ლატვიელთა ძლევით გულმიცემულ რუსებს დაუხვდება.*

*ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს მატჩი იურგენ კლინსმანის გუნდისთვის ბოლო ამხანაგური თამაშია კონფედერაციათა თასის წინ. შევნიშნოთ, რომ ეს ტურნირი 15 ივნისს იწყება და მასაც გერმანია უმასპინძლებს*

# შიდაგერმანული რია-რია ერთი წლით ადრე





იურგენ კლინსმანს და ოლივერ ბირჰოფს ფრანც ბეკენბაუერმა ალმაცერად შეხედა

## ვის რა სჯერა

იურგენ კლინსმანის გამწვრთნელების პირველ თვეებში გერმანიაში ასეთი გამოკითხვა ჩაატარეს — ვის გჯერათ 2006 წელს ბუნდესნაკრების გაჩემპიონებისაო — გამოკითხულთა 40 პროცენტის პასუხი იყო: გერმანია მუნდიალს მოიგებს. ორიოდ კვირის წინ ჩატარებული მსგავსი გამოკითხვის შედეგი კი სრულიად საპირისპირო გამოდგა: 42 პროცენტი დარწმუნებულია, რომ მათი გუნდი ჯგუფიდანაც ვერ გავა.

რამ გამოიწვია გერმანელთა იმედის შკალაში ასეთი ცვალებადობა, თითქოს ძნელი ასახსნელია, მაგრამ ბოლოდროინდელ საბუნდესნაკრებო ამბებს თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალს, მიზეზის პოვნა იოლი იქნება.

მოგეხსენებათ, მიუნხენური „ალიანს არენა" საგანგებოდ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აიგო. ამ კოხტა და ულტრათანამედროვე სტადიონმა ამასწინათ პირველად გაათელინა მინდორი „ბაიერნსა" და გერმანიის ნაკრებს. ეს ამხანაგურ-საპრეზენტაციო მატჩი „ალიანს არენას" თანამეპატრონის („მიუნხენ 1860"-თან ერთად) „ბაიერნის" 4:2 გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ამ მატჩის მერე შეხედეს ალმაცერად გერმანელებმა, კერძოდ, მიუნხენელებმა და მათმა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა იურგენ კლინსმანს და მის ნაკრებს.

## თუ არ ხარ მიუნხენელი, არ ხარ გერმანელი

კაიზერ ფრანცს რომ კლინსმანი თავიდანვე არ ეხატებოდა გულზე, ძველი ამბავია. გერმანულ ფეხბურთის მახვშს ბუნდესმწვრთნელად ლოთარ მათეუსი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ მერე საერთო გერმანულ ნებას დაჰყვა და კლინსმანის გაპირველკაცებას დაჰყაბულდა.

პირველი ბზარი ბეკენბაუერსა და კლინსმანის ურთიერთობაში მას მერე გაჩნდა, რაც ჰერ იურგენმა ხელშეუხებელი ოლივერ კანის, ნაკრებისა და „ბაიერნის" მეკარის ტოლ-სწორად არსენალელი იენს ლემანი გამოაცხადა. ახლა კვლავ „ალიანს არენასა" და ზემოთნახსენებ მატჩს დავუბრუნდეთ. ამ შეხვედრაში ეროვნული გუნდის კარს ლემანი იცავდა, მიუნხენელთა კარს კი, ცხადია, ოლივერ კანი.

მიუნხენურმა პუბლიკამ ლემანს უსტვინა. კლინსმანი იძულებული იყო, პირველი ტაიმის მერე იგი ტიმო ჰილდებრანდით შეეცვალა. მიუნხენელებმა ნელსელი რობერტ ჰუთიც ცივად მიიღეს და „შალკეს" ახალგაზრდა ფორვარდი მაიკ ჰანკეც. ესე იგი, რა გამოვიდა? მიუნხენში არაბაიერნელები არ უყვართ. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩი სწორედ „ალიანს არენაზე" ჩატარდება და კლინსმანს აქედანვე მიანიშნეს, ბუნდესნაკრების შეუცვლელი მეკარე ოლივერ კანიაო.

## პირს ვერავინ ამომიკერავს

მიუნხენელთა ასეთ საქციელს პასუხი ნაკრების მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა გასცა: „ვერ შევეგუები იმას, რომ იენს ლემანს ასე მოექცნენ, სტადიონის დიქტორს მაინც მოეწოდებინა მაყურებლისთვის კეთილგონიერებისკენ".

ეს იყო და, სიტყვათა ომიც გაჩაღდა. საპასუხო „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ გაისროლა: „ჰერ ბირჰოფს უჯობს, საკუთარ საქმეებს მიხედოს, „ბაიერნის" სამზარეულოში ქექვას არ ვურჩევ. ისიც ეყოფა, სებასტიან დაისლერს „ჰამბურგში" გადასვლა რომ ურჩია და ასეთი თავხედობა ვაპატიეთ".

პასუხის პასუხი კი ასეთია: „პირს ვერავინ ამომიკერავს".

მოკლედ, ბუნდესნაკრებსა და გერმანიის ყველაზე ტიტულიან კლუბს, მიუნხენის „ბაიერნს" შორის შავმა კატამ გაირბინა.

## კლინსმანის გზა

გერმანელ სპეციალისტთა უმრავლესობა, ვინც ამ კონფლიქტს დიდი ყურადღებით, მაგრამ მიუკერძოებლად ადევნებს თვალს, მიიჩნევს, რომ ბაიერნელებს კლინსმანთან სადავო არაფერი აქვთ. მათი აზრით, ლემანის კანთან გატოლებამ ეს უკანასკნელი გამოაფხიზლა და უკეთ აათამაშა. კლინსმანმა დანიშვნისთანავე კაპიტნობა უბოძა მიხაელ ბალაკს, რომელიც შარშან ზაფხულს „ბაიერნიდან" გარბოდა და ბუნდესყოჩობამ უცხოეთში გადახვეწის სურვილი გაუქრო. კლინსმანი ენდო ჭაბუკ ბაიერნელ ბასტიან შვაინსტაიგერს და ფსიქიკაშერყეულ სებასტიან დაისლერს.

ერთი სიტყვით, გერმანულ ფეხბურთში ჩახედულთა აზრით, ჰერ იურგენს არაფერი შეშლია და სამუნდიალოდ ბუნდესნაკრები სწორ გზაზე დააყენა.

**სოსო ქოტორეიშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



კარლეს პუიოლს (შუაში) ძირითადში აუცილებლად დააყენებენ

# ფერნანდო, დაამსხვრიე სინდრომი

**VII ჯგუფი**

**ესპანეთი — ბოსნია**

**ესპანელებმა** ოთხი დღის წინ ლიტვას გაჭირვებით მოუგეს 1:0 და პირინეელთა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა გუნდის გადახალისება გადაწყვიტა.

ბალკანელებთან მატჩში ინჩასები ძირითადში სავარაუდოდ, ასიერ დელ ორნოს, დავიდ ალბელდასა და ვისენტეს ვერ იხილავენ, მათ ნაცვლად კი მოედანზე ალბერტ ლუკე, ანტონიო ლოპესი და ჩაბი ალონსო გავლენ.

„ბოსნიასთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, ამიტომაც მე ჩემს ფეხბურთელებს ვთხოვე, თუ ვინმეს დალლილობა ან სხვა რაიმე პრობლემები გაწუხებთ, მითხარით, მოსარიდებელი არაფერი გქონდეთ-მეთქი. ძალიან მინდა, ეს თამაში შთამბეჭდავად მოვიგოთ" — განაცხადა ლუის არაგონესმა.

რატომ აითვალწუნა არაგონესმა ზემოხსენებული სამეული? ვალენსიელ ვისენტეს ლიტვასთან ურიგოდ არ უბურთავია, მაგრამ ძველმა ტრავმამ მაინც თავისი გაიტანა. ეტყობა, ვისენტე საკუთარ ძალებში ასი პროცენტით ვერაა დარწმუნებული. რაც შეეხება დელ ორნოსა და ალბელდას, ესპანელთა მწვრთნელს უბრალოდ, მათი გარჯა არ მოეწონა.

თავდასხმაში კი ისევ იგივენი დარჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ რაულმა და ფერნანდო ტორესმა წინა შეხვედრაში თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს, მწვრთნელს მათი იმედი კვლავინდებურად აქვს.

„რაულის შეცდომებს შემთხვევითობად ვთვლი. ძირითადში დავტოვებ ფერნანდო ტორესსაც. თავდამსხმელებს ხშირად აქვთ მშრალი, უგოლო პერიოდი და ვთვლი, რომ ფერნანდოსაც ეს სინდრომი შეეყარა, მაგრამ იმედია, ამას სწორედ ბოსნიელებთან დაამსხვრევს" — განაცხადა მწვრთნელმა.

ამასობაში, ბლაჟ სლიშკოვიჩის ნაკრები ფრიად შესუსტებული შემადგენლობითაა ჩასული. გუნდს ვარსკვლავები — ჰასან სალიჰამიჯიჩი, ელვირ ბალიჩი და ელვირ ბოლიჩი ვერ დაეხმარებიან.

ბაიერნელი სალიჰამიჯიჩი დისკვალიფიცირებულია, ხოლო ექსრეალელი ბალიჩი და „რაიო ვალეკანოს" ყოფილი მოთამაშე ბოლიჩი ტრავმირებულნი არიან.

ბოსნიელთა კარს ასევე ტრავმის გამო ძირითადი მეკარე კენან ჰასაგიჩი ვერ დაიცავს. ელვირ რაჰიმიჩმა, მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელმა კი ნაკრებში თამაში მწვრთნელთან უთანხმოების გამო იუარა.

„თუ ესპანეთთან რაიმეს მიღწევა გვინდა, სან მარინოსთან ჩაგდებული მატჩი უნდა დავივიწყოთ და საქმეს გულიანად უნდა მოვეკიდოთ" — თქვა სლიშკოვიჩმა. მართალია, ის შეხვედრა ბოსნიამ 3:1 მოიგო, მაგრამ ბალკანელები უსუსტეს სან მარინოს მართლაც საშინლად ეთამაშნენ და გოლის გატანის საშუალებაც კი მისცეს.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:0 | 12 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:1 | 12 |
| ლიტვა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:3 | 9 |
| ბელგია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ბოსნია | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2:23 | 0 |

**I ჯგუფი**

**ჩეხეთი — მაკედონია**

**რუმინეთი — სომხეთი**

**ფინეთი — ჰოლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 7 | 6 | 1 | 0 | 16:3 | 19 |
| ჩეხეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 22:6 | 18 |
| რუმინეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| ფინეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:10 | 9 |
| მაკედონია | 8 | 2 | 2 | 4 | 9:10 | 8 |
| სომხეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:17 | 4 |
| ანდორა | 8 | 1 | 1 | 6 | 4:25 | 4 |

**III ჯგუფი**

**ლატვია — ლიხტენშტაინი**

**ესტონეთი — პორტუგალია**

**ლუქსემბურგი — სლოვაკეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 7 | 5 | 2 | 0 | 23:4 | 17 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 18:7 | 14 |
| რუსეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | 14 |
| ესტონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:14 | 11 |
| ლატვია | 7 | 3 | 1 | 3 | 14:14 | 10 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 9:18 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 4:28 | 0 |

**IV ჯგუფი**

**ფარერები — ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 13:4 | 12 |
| ისრაელი | 7 | 2 | 5 | 0 | 10:8 | 11 |
| ირლანდია | 6 | 2 | 4 | 0 | 9:4 | 10 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | 10 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 3:15 | 1 |

**V ჯგუფი**

**ბელარუსი — შოტლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| სლოვენია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ბელარუსი | 5 | 1 | 3 | 1 | 10:7 | 6 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 1:11 | 2 |

**VIII ჯგუფი**

**ისლანდია — მალტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 16:3 | 16 |
| შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 23:2 | 15 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:11 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ისლანდია | 6 | 0 | 1 | 5 | 6:17 | 1 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 1:22 | 1 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ჩვენ ერთმანეთი არ გვძულს

## ალოგიკური და აუხსნელი მატჩი

**XV ტური**

**დღეს**

**კოლუმბია — ეკვადორი**

**პარაგვაი — ბოლივია**

**ჩილე — ვენესუელა**

**არგენტინა — ბრაზილია**

**წუხელ**

**პერუ — ურუგვაი**

***გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა***




კარლოს ალბერტო პარეირას რონალდინიოსი ძალიან ეიმედება

**8 ივნისს** მთელი საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა და როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. რა ხდება? არგენტინა და ბრაზილია ერთმანეთს ხვდებიან...

მართალია, ორივე გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელები ამბობენ, ჩვენ ერთმანეთი არ გვძულს და ამ შეხვედრას პოლიტიკურ ან სხვა არასაფეხბურთო ელფერს ნუ მივცემთო, მაგრამ რამხელა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს ამ მატჩს, ალბათ, თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

როგორც არგენტინას, ასევე ბრაზილიას, ძალიან ძლიერი და დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. შესაბამისად, ორივე მათგანი უკვე მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება და ეს შეხვედრაც ბევრ რამეს გამოაშკარავებს. დამატებითი ინტრიგა ისიცაა, რომ თუ რომელიმე ნაკრები გამარჯვებას მოახერხებს, ოფიციალურად გაინაღდებს მუნდიალის საგზურს, რაც ორმაგად სასიამოვნო იქნება.

ამ შესარჩევი ეტაპის პირველი შეხვედრა ბრაზილიელებმა 3:1 მოიგეს და ურთიერთშეხვედრებში თავიანთი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს. ბუნებრივია, არგენტინელი ქომაგები რევანშს ითხოვენ და უკვე რამდენიმე დღეა, საგანგებოდაც ემზადებიან მატჩისთვის. არც ის არის გასაკვირი, რომ ბუენოს აირესის მმართველებმა უსაფრთხოების საგანგებო ზომებს მიმართეს, რათა წესრიგის მაქსიმალურად დაცვა მოახერხონ.

მასპინძლები მეტოქეს საბრძოლო შემადგენლობით ხვდებიან, ხოლო სტუმრებს მხოლოდ დასასვენებლად გაშვებული რონალდო არ ეყოლებათ. ბრაზილიელთა კაპიტან კაფუს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და პენტაკამპეონებს მინდორზე ისევ უკაპიტნებს.

ბრაზილიელთა თავკაცი კარლოს ალბერტო პარეირა თავდასხმაში სავარაუდოდ, ისევ რობინიო-ადრიანოს წყვილს დააყენებს. თუმც პარაგვაისთან არც ისე შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ, გამორიცხული არ არის, ეს უკანასკნელი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს, ხოლო ძირითად შემადგენლობაში რიკარდო ოლივეირა ვიხილოთ.

რაც შეეხება ხოსე პეკერმანს, იგი წინასწარ შემადგენლობაზე ნაკლებად საუბრობს და ირწმუნება, რომ მინდორზე საუკეთესო მოთამაშეებს გაიყვანს, რომლებსაც საბოლოოდ მატჩის წინ აარჩევს.

აღვნიშნოთ, რომ ბოლოს ბრაზილიამ თავის ყველაზე პრინციპულ მეტოქეს სტუმრად ათი წლის წინ, 1995 წლის 8 ნოემბერს, ამხანაგურ მატჩში მოუგო. ახლა კი კარლოს ალბერტო პარეირა 60 ათასზე მეტი ქომაგით გადაჭედილ „მონუმენტალზე" იგივეს გაკეთებას შეეცდება. ბრაზილიელები არც მალავენ, რომ მიუხედავად გასვლაზე თამაშისა, გამარჯვებას და პირველ ადგილზე გადასვლას აპირებენ.

ხოსე პეკერმანი: „ჩვენ აღარ გვყავს შეუცვლელი ფეხბურთელები და ძირითად შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. ერთად ყოფნა ხშირად არ გვიწევს, მაგრამ თითოეულმა მოთამაშემ იცის, რომ ნებისმიერ მატჩში ბოლომდე უნდა დაიხარჯოს, რაც სასურველ მიზანთან კიდევ უფრო მიგვაახლოვებს. ცხადია, ამ მატჩს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ზედმეტი კომენტარები არ სჭირდება. წარმატების იმედი მაქვს, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება".

„ბრაზილიასთან მოგება ყოველთვის განსაკუთრებულ სიხარულს და ძალას გვანიჭებს. იმედია, ამას ამჯერადაც მოვახერხებთ და ქომაგებს საწადელს აუსრულებთ" — თქვა არგენტინელთა ფორვარდმა ერნან კრესპომ.

„ამ დაპირისპირებაზე შეიძლება დაუსრულებლად ვისაუბროთ. მინდა, კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ამ ყველაფრის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი არ გვძულს. მატჩს არასპორტულ დატვირთვას თუ მივცემთ, ამით ქომაგებს გავაღიზიანებთ. არ ღირს ამის გაკეთება. უბრალოდ, წაგებას ვერც ერთი ვერ ვეგუებით და ვეცდებით, ეს თავიდან ავიცილოთ. არგენტინა ძალიან ძლიერია, თანაც საკუთარ კედლებში, მაგრამ მიზნად გამარჯვებას ვისახავთ. ჩემი აზრით, მუნდიალისთვის მზადების მთავარი ეტაპი სწორედ ამ პერიოდიდან იწყება, როდესაც ხშირი შეკრებები და გუნდში სათანადო ატმოსფეროს შექმნაა საჭირო" — განაცხადა პარეირამ.

„ყველას აინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს და გოლს ვინ გაიტანს, მაგრამ ასეთ დროს მთავარი [illegible] დუელია. წინ ძალიან დაძაბული [illegible] კარგი მატჩი გველის" — [illegible] ბრაზილიელთა ლიდერ რონალდინიოს სიტყვებია.

აქვე არგენტინელი და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავ[illegible] ბატისტუტასაც მოვუსმინოთ: [illegible] ბრაზილიელ მოთამაშეთან [illegible] ძალიან ახლო და თბილი [illegible]რობა, მაგრამ როდესაც [illegible]ზე გავდიოდით, ჩვენი [illegible] წყდებოდა. ამის ახსნა [illegible] არის და ლოგიკას არ [illegible]რება".

მე-15 ტურის სხვა მატჩებიდან კოლუმბია — ეკვადორი [illegible] მოვარჩიოთ. კაპიტან ივან კორდობას გარეშე დარჩენილი [illegible]ლები ყველაფერს გაიღებენ, რათა ეს მნიშვნელოვანი მატჩიც მოიგონ. ეკვადორელებს კი, ალბათ, [illegible] დააკმაყოფილებთ.

ბრაზილიასთან განადგურებულ პარაგვაელებს, გამოცდილი [illegible] საიდერ ბოლივიას დამარცხება [illegible]რთებთ, თუ მდგომარეობის გართულება და მუნდიალს მიღმა დარჩენა არ უნდათ. ანალოგიურ [illegible]თარებაშია ჩილეც, მაგრამ მეტოქე ერთიორად ძლიერი და უფრო მოტივირებული ჰყავს.

პერუმ და ურუგვაიმ კი წუხელ გვიან ღამით ითამაშეს.

**გიორგი კაკაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 24:14 | 28 |
| ბრაზილია | 14 | 7 | 6 | 1 | 25:13 | 27 |
| ეკვადორი | 14 | 7 | 2 | 5 | 21:15 | 23 |
| პარაგვაი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:21 | 19 |
| კოლუმბია | 14 | 4 | 5 | 5 | 17:12 | 17 |
| ჩილე | 14 | 4 | 5 | 5 | 15:15 | 17 |
| ურუგვაი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:26 | 17 |
| ვენესუელა | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | 15 |
| პერუ | 14 | 3 | 5 | 6 | 13:19 | 14 |
| ბოლივია | 14 | 4 | 1 | 9 | 16:26 | 13 |

# გერმანია. ბუნდესლიგა 2004-2005

## მიმოხილვა. გიორგი კაკაბაძე

# ბუნდესლოგიკა

### ბაიერნი: რამდენიც გინდათ მეჭიდავეთ, სინი მაინც ჩემია

**ბუნდესლიგის** რიგით 42-ე ჩემპიონატმა სხვებზე არანაკლებ საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. მეტიც, ბოლო წლებში ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სეზონი იყო. მართალია, ჩემპიონის ვინაობა პრაქტიკულად ისევ რამდენიმე ტურით ადრე გაირკვა, მაგრამ დანარჩენი ადგილებისთვის ბრძოლამ უკანასკნელ მომენტამდე გასტანა.

საბოლოო ჯამში პირველი ადგილი კვლავ „ბაიერნს" დარჩა, რომელმაც ერთწლიანი შესვენების შემდეგ მეცხრამეტედ მოიგო ბუნდესსასალათე. მიუნხენელებს თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე წინააღმდეგობას „შალკე" უწევდა, რომელიც ერთხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ გელზენკირხენელებს გამოცდილებასთან ერთად საჩემპიონო ბედიც აღარ ეყოთ და, ისევე როგორც 3 წლის წინ, ტიტული კვლავ მიუნხენელებს დაუთმეს.

გადამწყვეტი აპრილი გამოდგა, როცა 28-ე ტურში, „შალკე" სტუმრად დამარცხდა „შტუტგარტთან" (0:3). „ბაიერნი" კი შინ სენსაციურად მარცხდებოდა „გლადბახთან", მაგრამ შეხვედრის შემობრუნება შეძლო და საბოლოოდ მეჰმედ შოლის 84-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით სამი ქულა მოიპოვა.

29-ე ტურში „შალკე" ზედიზედ მეორედ, თანაც შინ დამარცხდა „ჰამბურგთან" 87-ე წუთზე გაშვებული გოლით (1:2), ხოლო „ბაიერნმა" სტუმრად მხოლოდ მაკაის მიერ დამატებულ დროში თავით პიზაროს მიერ შეგდებული ბურთით დაამარცხა „ჰანოვერი".

ამის შემდეგ გუნდებს შორის სხვაობა ექვს ქულამდე გაიზარდა და ცხადი გახდა, რომ „შალკე" „ბაიერნის" დაწევას ვეღარ მოახერხებდა. თანაც გელზენკირხენელებმა მომავალ ორ ტურშიც ვერ შეძლეს გამარჯვება, მიუნხენელებმა კი ბოლო 9 შეხვედრიდან ყველა მოიგეს და ჩემპიონატის წარუმატებლად დაწყება ამ მაჩვენებლით დაჩრდილეს.

ასეა თუ ისე, „ბაიერნმა" 31-ე ტურში კიდევ ერთ პრინციპულ მეტოქესთან, „კაიზერსლაუტერნთან" გასვლაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების (3:0) შემდეგ ოფიციალურად გაიფორმა ჩემპიონის ტიტული. მთლიანობაში ეს სავსებით ლოგიკური გახლდათ, რადგანაც სხვა გუნდების ფონზე მიუნხენელები კვლავ გაცილებით სტაბილური და დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ვთქვათ ისიც, რომ „ბაიერნისთვის" ეს უკანასკნელი სეზონი იყო „ოლიმპიაშტადიონზე". მიუნხენელები ამიერიდან ახლადაშენებულ „ალიანს არენაზე" გადაბარგდნენ.

ჩინებული სტარტისა და ლაღი ფეხბურთის დემონსტრირების შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, ჩემპიონატი ძალიან ცუდად ჩაამთავრა „შალკემ" — გელზენკირხენელებმა მთელი სეზონის ჯაფა, ფაქტობრივად, წყალში ჩაყარეს და საბოლოო ჯამში შეიძლებოდა მეორე ადგილიც კი დაეკარგათ. თუმც რალფ რანგნიკის საკმაოდ სიმპათიურმა გუნდმა ეს თავიდან აიცილა.



დანდობა არ მოსულა, ძმაო: ერთი ეპიზოდი გერმანული საკლუბო ფეხბურთის ცხოვრებიდან

ბოლო ტურის წინ ყველას ერთი კითხვა აწუხებდა, ვინ გავიდოდა მესამე ადგილზე — „შტუტგარტი" თუ „ჰერტა". მათიას ზამერის გუნდი ბერლინელებს ქულით უსწრებდა და საკუთარ კედლებში „ბაიერნთან" თამაშობდა. უკვე გაჩემპიონებულმა მიუნხენელებმა მეტოქე არ დაინდეს და 3:1 მოუგეს. თუმც, დედაქალაქელებმა ყველასთვის მოულოდნელად ამით ვერ ისარგებლეს. მათ საშინაო მატჩში უმოტივაციო „ჰანოვერთან" 0:0 ითამაშეს და ბრწყინვალედ ჩატარებული მეორე წრე ასე უფერულად დაასრულეს.

ამ ყველაფრით კი მოქმედი ჩემპიონის სტატუსით მოთამაშე „ვერდერმა" იხეირა. ბრემენელებმა, რომელთა სამეულში მოხვედრის შანსებს რეალურად აღარავინ განიხილავდა, გასვლაზე უპრობლემოდ სძლიეს „კაიზერსლაუტერნს" და მესამე ადგილზე წამოსკუპდნენ, რაც ვინძლო თავადაც გვარიანად გაუკვირდათ.

„ჰერტას" მთელი სეზონი ისე რომ ჩაეტერებინა, როგორაც ბოლო ტურებში ითამაშა, ეგებ ჩემპიონიც გამხდარიყო. დედაქალაქელები ძალიან ლამაზ და შედეგიან ფეხბურთს აჩვენებდნენ. ბევრის აზრით, ისინი სამეულში მოხვედრასაც იმსახურებდნენ, მაგრამ ბერლინელებმა ყველაფერი თავიანთ თავს უნდა დააბრალონ — ფალკო გიოტცის გუნდმა ძალიან ბევრი ქულა გაფლანგა.

რაც შეეხება „შტუტგარტს", მართალია, გუნდი მთელი სეზონის მანძილზე ლიდერთა შორის ტრიალებდა, მაგრამ არც ისე დამაჯერებელ თამაშს აჩვენებდა. შტუტგარტელები ძალიან პრიმიტიულად ირჯებოდნენ და ძირითადად კევინ კურანის თამაშზე იყვნენ დამოკიდებულნი. უკმაყოფილონი დარჩნენ კლუბის ხელმძღვანელებიც, რომლებმაც სეზონის ბოლოს მათიას ზამერი პოსტიდან დაითხოვეს.

ბოლო წლებში გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად ქცეული „ლევერკუზენის" სეზონი აშკარად ჩაუვარდა. ძალიან ცუდი დებიუტის შემდეგ „ფარმაცევტებმა" მდგომარეობის შედარებით გამოსწორება შეძლეს და საბოლოო ჯამში, ევროთასის საგზურსაც გამოჰკრეს ხელი.

ქებას იმსახურებს მეშვიდე ადგილზე გასული „დორტმუნდიც", რადგან გუნდს ძალიან სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ერთხანს კლუბი გაკოტრების რეალური საშიშროების წინაშეც იდგა. მიუხედავად არეულობისა და დაძაბული ვითარებისა, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე დორტმუნდელებმა მობილიზება შეძლეს და ინტერტოტოს საგზურიც მოიპოვეს.

მოლოდინი ვერ გაამართლეს „ჰამბურგმა" და „ვოლფსბურგმა". სპეციალისტები მათგან უფრო შთამბეჭდავ და შედეგიან თამაშს ელოდნენ, მაგრამ...

აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ „მაინცი", მცირე ბიუჯეტის მქონე გუნდმა, რომელმაც მშვენიერად ითამაშა და ლიგაში ადგილის შენარჩუნება შეძლო, ისევე როგორც მეორე ბუნდესლიგიდან გადმოსულმა სხვა კლუბებმა. მაინცელთა გარდა საფეხბურთო ფორტუნამაც გაუღიმა და, როგორც უკვე გითხარით, ეს კლუბი „შტუტგარტთან", „ლევერკუზენთან" და „ჰერტასთან" ერთად გერმანიას უეფას თასზე წარადგენს.

ბუნდესლიგიდან გავარდნილი გუნდებიდან კი განსაკუთრებით „ჰანზა" უნდა გამოვარჩიოთ. როსტოკელებს სეზონის დასაწყისში გაფლანგული ქულები ძვირად დაუჯდათ და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად გამოეთიშნენ ელიტარულ ლიგას, სადაც ყოფილ გდრ-ს, ფაქტობრივად, წარმომადგენელი აღარ შერჩა.

„ფრაიბურგის" საქმე შავად რომ იყო, პირველი წრის მერეც კარგად გამოჩნდა და საბოლოოდ ფოლკერ ფინკეს გუნდმა უიმედოდ, გამოკვეთილი აუტსაიდერის სტატუსით დაასრულა ჩემპიონატი. „ბოხუმმა" კი ბოლო ტურებში ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ ყველაფერი „ნიურნბერგთან" წაგებულმა პრინციპულმა მატჩმა გადაწყვიტა.

„ნიურნბერგის" ხსენებაზე არ შეიძლება, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ მარეკ მინტალზე არ ვთქვათ ორიოდე სიტყვა — სლოვაკმა ფორვარდმა მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და 24 გოლით დამსახურებულად გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო მსროლელი.




„შალკეს" მწვრთნელი რალფ რანგნიკი ლევან კობიაშვილს თვალდახუჭული ენდობოდა

# გერმანია. ბუნდესლიგა 2004-2005

## გიორგი ქაქაბაძე. მიმოხილვა

# მაგათის მახათი

## ვისთვის მწარე, ვისთვის ტკბილი



ფელიქს მაგათმა „ბაიერნთან" ერთად პირველი ბუნდესტიტული მოიგო

**გერმანელი** სპეციალისტებისა და ჟურნალისტების უმეტესობამ ბუნდესლიგის საუკეთესო მწვრთნელად ფელიქს მაგათი აღიარა. მან თავი წინა სამ სეზონშიც გამოიჩინა, როდესაც გაკოტრების პირას მყოფი „შტუტგარტი" ჩაიბარა და გუნდი მალევე გამოიყვანა რთული მდგომარეობიდან, რაც „ბაიერნის" ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და 52 წლის სპეციალისტს გასულ ზაფხულს გუნდი ჩააბარა.

მაგათის დებიუტი მაინცდამაინც წარმატებული ვერ გამოდგა. სეზონის დასაწყისში მიუნხენელები არც ისე დამაჯერებლად და სტაბილურად თამაშობდნენ, რის გამოც მას ბევრი კრიტიკოსი გაუჩნდა. თუმც მეორე წრე მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა და „ბაიერნის" გამარჯვების მთავარ შემოქმედადაც სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ.

მიუხედავად ამისა, მაგათს ახლაც ბევრი აკრიტიკებს და „ბაიერნის" დონის სპეციალისტად არ მიიჩნევს. თუმც ფაქტია, რომ მიუნხენელებმა ბუნდესლიგა მის მიერ შერჩეული სწორი ტაქტიკისა და მატჩებისას გაკეთებული ჭკვიანური შეცვლების წყალობით მოიგეს. ვთქვათ ისიც, რომ ფელიქს მაგათის სამწვრთნელო კარიერაში ეს პირველი ტიტული იყო.

სამწვრთნელო კარიერა კი 36 წლის ასაკში „ზაარბრიუკენში" დაიწყო, სადაც ადრე ბურთიც უგორებია. შემდეგ იყო „იურდინგენი", „ბრევერჰავენი" და მისი კიდევ ერთი ყოფილი კლუბი „ჰამბურგი", რასაც „ნირერნბურგსა" და „ვერდერში" გატარებული თითო სეზონი მოჰყვა, ხოლო 1999-2001 წლებში იგი ფრანკფურტის „აინტრახტს" წვრთნიდა და არცთუ ურიგოდ, რითაც გაჭირვებაში მყოფი „შტუტგარტის" ყურადღება მიიპყრო და...




მიუნხენის „ბაიერნმა" ქვეყნის ჩემპიონობას თასიც დაურთო

# საუკეთესო საუკეთესოთა შორის

**გასულ** სეზონში განსაკუთრებულად რამდენიმე მოთამაშის გამორჩევა შეიძლება. ბუნდესლიგის აღმოჩენასა და საუკეთესო ბომბარდირ მარეკ მინტალზე რომ არაფერი ვთქვათ, მშვენიერი სეზონი ჰქონდა როი მაკაის. „ბაიერნის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა 22 გოლი გაიტანა და 14-ჯერ თანაგუნდელებს გაატანინა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მიხაელ ბალაკმაც. ბრწყინვალედ ბურთაობდა სეზონის წინ „კაიზერსლაუტერნიდან" „შალკეში" გადასული ლინკოლნიც. ახალგაზრდობა გაიხსენა და ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაში „გლადბახს" გვარიანად დაეხმარა ოლივერ ნოივილი.

ზემოთხსენებულ ფეხბურთელთა გარდა, კიდევ რამდენიმე მოთამაშის გამორჩევა შეიძლება, მაგრამ იმაში, რომ ბუნდესლიგის გასულ სეზონში საუკეთესო ბრაზილიელი მარსელინიო იყო, თითქმის ყველა ერთხმად შეთანხმდა.

„ჰერტას" შემტევმა ნახევარმცველმა მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა. ბერლინელთა იერიშების სულის ჩამდგმელი და შემოქმედიც სწორედ იგი გახლდათ. ბრაზილიელის ფინტების, დარტყმებისა თუ პასებისგან ყველა სიამოვნებას იღებდა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ციფრებში მარსელინიოს მონაგარი ასე გამოიყურება — 18 გოლი და 13 საგოლე პასი.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ბრაზილიელი „ჰერტაში" 2001 წელს „მარსელიდან" გადაბარგდა და მალევე გუნდის ლიდერად იქცა. თუმც მარსელინიოს ასეთი შედეგიანი და შთამბეჭდავი სეზონი აქამდე არ ჰქონია.

ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა იგი ერთხმად აღიარეს გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. მარსელინიოს საგრძნობლად ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული მიხაელ ბალაკი.

აქვე ვთქვათ, რომ საუკეთესო მეკარედ „ჰანოვერის" კარის დარაჯი რობერტ ენკე დაასახელეს. მან ოცდათოთხმეტივე შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 36 გოლი გაუშვა.




ბუნდესლიგის წლის რჩეული: „ჰერტას" ბრაზილიელი მარსელინიო

## ისინი ჩემპიონები არიან

## ბაიერნი

### მეკარეები

1 - ოლივერ კანი ---------- 15.06.69
22 - მიხაელ რენსინგი ---------- 14.05.84

### მცველები

2 - ვილი სანიოლი ---------- 18.03.77
3 - ლუსიო ---------- 08.05.78
4 - სამუელ კუფური ---------- 03.09.76
5 - რობერტ კოვაჩი ---------- 06.04.74
15 - ტობიას რაუ ---------- 31.12.81
18 - ანდრეას გიორლიცი ---------- 31.01.82
25 - თომას ლინკე ---------- 26.12.69
69 - ბიქსენტ ლიზარაზუ ---------- 09.12.69

### ნახევარმცველები

6 - მარტინ დემიკელისი ---------- 20.12.80
7 - მეჰმეთ შოლი ---------- 16.10.70
8 - ტორსტენ ფრინგსი ---------- 22.11.76
11 - ზე რობერტო ---------- 06.07.74
13 - მიხაელ ბალაკი ---------- 26.09.76
16 - იენს იერემისი ---------- 05.03.74
20 - ჰასან სალიჰამიჯიჩი ---------- 01.01.77
23 - ოუენ ჰარგრივსი ---------- 20.01.81
26 - სებასტიან დაისლერი ---------- 05.01.80
31 - ბასტიან შვაინსტაიგერი ---------- 01.08.84

### თავდამსხმელები

9 - ვაჰიდ ჰაშემიანი ---------- 21.07.76
10 - როი მაკაი ---------- 09.03.75
14 - კლაუდიო პიზარო ---------- 03.10.78
21 - ალექსანდრ ციკლერი ---------- 28.02.74
24 - როკე სანტა კრუზი ---------- 16.08.81
33 - ხოსე პაულო გერერო ---------- 01.01.84

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 34 | 24 | 5 | 5 | 75:33 | 42 | 77 | 17 | 14 | 2 | 1 | 44:14 | 30 | 44 | 17 | 10 | 3 | 4 | 31:19 | 12 | 33 |
| 2 შალკე | 34 | 20 | 3 | 11 | 56:46 | 10 | 63 | 17 | 11 | 2 | 4 | 33:24 | 9 | 35 | 17 | 9 | 1 | 7 | 23:22 | 1 | 28 |
| 3 ვერდერი | 34 | 18 | 5 | 11 | 68:37 | 31 | 59 | 17 | 9 | 4 | 4 | 33:15 | 18 | 31 | 17 | 9 | 1 | 7 | 35:22 | 13 | 28 |
| 4 ჰერტა | 34 | 15 | 13 | 6 | 59:31 | 28 | 58 | 17 | 8 | 8 | 1 | 34:13 | 21 | 32 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:18 | 7 | 26 |
| 5 შტუტგარტი | 34 | 17 | 7 | 10 | 54:40 | 14 | 58 | 17 | 12 | 2 | 3 | 34:15 | 19 | 38 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:25 | -5 | 20 |
| 6 ლევერკუზენი | 34 | 16 | 9 | 9 | 65:44 | 21 | 57 | 17 | 12 | 3 | 2 | 42:18 | 24 | 39 | 17 | 4 | 6 | 7 | 23:26 | -3 | 18 |
| 7 დორტმუნდი | 34 | 15 | 10 | 9 | 47:44 | 3 | 55 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:18 | 6 | 29 | 17 | 7 | 5 | 5 | 23:26 | -3 | 26 |
| 8 ჰამბურგი | 34 | 16 | 3 | 15 | 55:50 | 5 | 51 | 17 | 9 | 1 | 7 | 27:22 | 5 | 28 | 17 | 7 | 2 | 8 | 28:28 | 0 | 23 |
| 9 ვოლფსბურგი | 34 | 15 | 3 | 16 | 49:51 | -2 | 48 | 17 | 10 | 1 | 6 | 35:20 | 15 | 31 | 17 | 5 | 2 | 10 | 14:31 | -17 | 17 |
| 10 ჰანოვერი | 34 | 13 | 6 | 15 | 34:36 | -2 | 45 | 17 | 8 | 2 | 7 | 21:19 | 2 | 26 | 17 | 5 | 4 | 8 | 13:17 | -4 | 19 |
| 11 მაინცი | 34 | 12 | 7 | 15 | 50:55 | -5 | 43 | 17 | 9 | 3 | 5 | 28:21 | 7 | 30 | 17 | 3 | 4 | 10 | 22:34 | -12 | 13 |
| 12 ლაუტერნი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:52 | -9 | 42 | 17 | 8 | 2 | 7 | 20:21 | -1 | 26 | 17 | 4 | 4 | 9 | 23:31 | -8 | 16 |
| 13 არმინია | 34 | 11 | 7 | 16 | 37:49 | -12 | 40 | 17 | 7 | 3 | 7 | 21:21 | 0 | 24 | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | -12 | 16 |
| 14 ნიურნბერგი | 34 | 10 | 8 | 16 | 55:63 | -8 | 38 | 17 | 4 | 6 | 7 | 25:25 | 0 | 18 | 17 | 6 | 2 | 9 | 30:38 | -8 | 20 |
| 15 გლადბახი | 34 | 8 | 12 | 14 | 35:51 | -16 | 36 | 17 | 8 | 5 | 4 | 26:21 | 5 | 29 | 17 | 0 | 7 | 10 | 9:30 | -21 | 7 |
| 16 ბოხუმი | 34 | 9 | 8 | 17 | 47:68 | -21 | 35 | 17 | 6 | 5 | 6 | 30:29 | 1 | 23 | 17 | 3 | 3 | 11 | 17:39 | -22 | 12 |
| 17 ჰანზა | 34 | 7 | 9 | 18 | 31:65 | -34 | 30 | 17 | 4 | 5 | 8 | 17:31 | -14 | 17 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:34 | -20 | 13 |
| 18 ფრაიბურგი | 34 | 3 | 9 | 22 | 30:75 | -45 | 18 | 17 | 2 | 6 | 9 | 18:31 | -13 | 12 | 17 | 1 | 3 | 13 | 12:44 | -32 | 6 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| **მინტალი (ნიურნბერგი)** | **24** |
| მაკაი (ბაიერნი) | 22 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 20 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 18 |
| კლოზე (ვერდერი) | 15 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 15 |
| ვორონინი (ლევერკუზენი) | 15 |
| ბაკლი (არმინია) | 15 |
| აილტონი (შალკე) | 14 |
| ბალაკი (ბაიერნი) | 13 |
| კურანი (შტუტგარტი) | 13 |
| მ. პეტროვი (ვოლფსბურგი) | 12 |
| ლინკოლნი (შალკე) | 12 |
| ნოივილი (გლადბახი) | 12 |
| ბრდარიჩი (ვოლფსბურგი) | 12 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 12 |

**გავარდნენ**
ბოხუმი, ჰანზა, ფრაიბურგი

**ავლენ**
კიოლნი, დუისბურგი, აინტრახტი

**ჩემპიონთა ლიგა 2005-2006**
ბაიერნი, შალკე, ვერდერი

**უეფას თასი 2005-2006**
ჰერტა, შტუტგარტი, ლევერკუზენი, მაინცი

**ინტერტოტოს თასი 2005**
დორტმუნდი, ჰამბურგი, ვოლფსბურგი

სარბიელი & კროკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### პოლონეთი

9 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 31 | კრაკოვია-პოგონი | 1.55 | 3.6 | 4.7 | 1.08 | 1.16 | 2.03 |
| 21:00 | 32 | გურნიკი-პოლონია | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 33 | გროცლინი-ლეხია | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 21:00 | 34 | ლეხი-ვისლა | 3.15 | 3.1 | 2.05 | 1.56 | 1.24 | 1.23 |
| 21:00 | 35 | ლეგია-კატოვიცე | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 21:00 | 36 | ოდრა-პლოცკი | 2.15 | 3.2 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.5 |
| 21:00 | 37 | ზაგლემბე-ამიკა | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |

### დანია. I დივიზიონი

9 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 285 | ჰორსენსი-ფრემი | 2.3 | 3.6 | 2.5 | 1.4 | 1.19 | 1.47 |

### ნორვეგია. ტიპელიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 64 | ფრედრიკშტადი-ვიკინგი | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 65 | ლილესტრომი-ოლესუნდი | 1.5 | 4.0 | 5.8 | 1.09 | 1.19 | 2.36 |
| 20:00 | 66 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 20:00 | 67 | როზენბორგი-ჰამარი | 1.35 | 5.0 | 6.5 | 1.06 | 1.11 | 2.82 |
| 20:00 | 68 | სტარტი-ტრომსო | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 22:15 | 69 | ლინი-ვალერენგა | 2.7 | 3.2 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 70 | ვიკინგი-ბრანი | 2.5 | 3.3 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 71 | მანდალი-ალტა | 1.65 | 4.2 | 3.8 | 1.18 | 1.15 | 1.99 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 72 | სანდეფიორდი-ბრინი | 2.05 | 3.7 | 2.9 | 1.31 | 1.2 | 1.62 |
| 20:00 | 73 | სკეიდი-ჰაუგესუნი | 2.3 | 3.8 | 2.35 | 1.43 | 1.16 | 1.45 |
| 20:00 | 74 | ჰონეფოსი-სტრომსგოდსეტი | 1.55 | 4.0 | 4.5 | 1.11 | 1.15 | 2.11 |
| 20:00 | 75 | ფილდო-ტონსბერგი | 2.8 | 3.9 | 2.05 | 1.62 | 1.18 | 1.34 |
| 20:00 | 76 | ჰოდი-მოსი | 2.3 | 3.7 | 2.5 | 1.41 | 1.19 | 1.49 |
| 20:00 | 77 | კონგსვინგერი-სტაბეკი | 3.4 | 3.7 | 1.85 | 1.77 | 1.19 | 1.23 |
| 20:00 | 78 | ლიონ ჰამი-პორს გრენლანდი | 2.6 | 4.0 | 2.2 | 1.57 | 1.19 | 1.41 |

### შვედეთი. სუპერეტა

9 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 92 | აიკ-ატვიდაბერგი | 1.6 | 3.7 | 4.9 | 1.11 | 1.2 | 2.1 |

### ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები.

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 274 | დანია-ინგლისი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |
| 23:00 | 275 | შვედეთი-ფინეთი | 1.45 | 3.9 | 6.0 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 286 | გერმანია-იტალია | 1.25 | 4.9 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.17 |
| 23:00 | 287 | ნორვეგია-საფრანგეთი | 2.05 | 3.0 | 3.4 | 1.21 | 1.27 | 1.59 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:35 | 149 | კორეა-იაპონია | 5.5 | 3.7 | 1.5 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 18:35 | 150 | ირანი-ბაჰრეინი | 1.4 | 3.8 | 6.7 | 1.02 | 1.15 | 2.42 |
| 21:45 | 151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 22:05 | 152 | ს.არაბეთი-უზბეკეთი | 1.4 | 3.9 | 6.7 | 1.03 | 1.15 | 2.46 |
| 23:45 | 153 | მექსიკა-ტრინიდადი | 1.12 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.03 | 4.43 |
| 23:45 | 154 | პანამა-აშშ | 5.7 | 3.6 | 1.5 | 2.2 | 1.18 | 1.05 |
| 23:45 | 155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.65 | 3.4 | 4.6 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 23:45 | 159 | ჩილე-ვენესუელა | 1.45 | 3.7 | 6.7 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| 23:45 | 160 | არგენტინა-ბრაზილია | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 161 | ყაზახეთი-თურქეთი | 15.0 | 6.0 | 1.12 | 4.28 | 1.04 | 1.0 |
| 19:00 | 162 | ჩეხეთი-მაკედონია | 1.08 | 7.0 | 20.0 | 1.0 | 1.02 | 5.18 |
| 19:30 | 163 | ლატვია-ლიხტენშტაინი | 1.1 | 6.5 | 21.0 | 1.0 | 1.04 | 4.96 |
| 22:00 | 164 | ბელარუსი-შოტლანდია | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:15 | 165 | ესტონეთი-პორტუგალია | 7.0 | 3.7 | 1.45 | 2.42 | 1.2 | 1.04 |
| 21:30 | 166 | რუმინეთი-სომხეთი | 1.12 | 6.5 | 16.0 | 1.0 | 1.04 | 4.62 |
| 22:00 | 167 | ფინეთი-პოლანდია | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:00 | 168 | ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 18.0 | 7.5 | 1.07 | 5.29 | 1.0 | 1.0 |
| 22:00 | 169 | დანია-ალბანეთი | 1.2 | 5.0 | 13.0 | 1.0 | 1.09 | 3.61 |
| 22:05 | 170 | ისლანდია-მალტა | 1.15 | 6.0 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.1 |
| 22:30 | 171 | საბერძნეთი-უკრაინა | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 22:30 | 172 | ფარერები-ირლანდია | 20.0 | 7.0 | 1.08 | 5.18 | 1.02 | 1.0 |
| 23:45 | 173 | ესპანეთი-ბოსნია | 1.15 | 6.5 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.33 |

### ამხანაგური მატჩები

8 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 178 | შვედეთი-ნორვეგია | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 22:45 | 179 | გერმანია-რუსეთი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 23:45 | 180 | იტალია-სერბია | 1.85 | 3.0 | 3.9 | 1.14 | 1.25 | 1.69 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10

42 00 24

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ევრ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 190 | რუმინეთი(21)-სომხეთი(21) | 1.1 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.43 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 193 | ბეტისი-ოსასუნა | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 197 | გიოტებორგი-ელფსბორგი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 198 | ენსკედე-იურგორდენი | 9.0 | 4.5 | 1.3 | 3.0 | 1.13 | 1.0 |
| | | **პოლანდია. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 211 | ვენლო-როზენდალი | 3.8 | 2.9 | 1.9 | 1.64 | 1.26 | 1.14 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 212 | ვოლენდამი-ტელსტარი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |
| 22:00 | 213 | ზვოლე-გრააფსხაპი | 2.25 | 3.3 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 21:05 | 214 | ჰელმონდი-სპარტა | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 284 | სან ანტონიო-დეტროიტი | 1.4 | 12.0 | 2.8 | 1.25 | 1.0 | 2.27 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 22:15 | 256 | ესტუდიანტესი-რეალი | 1.6 | 12.0 | 2.1 | 1.41 | 1.0 | 1.78 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 219 | ტაისონი მ-მაკბრაიდი კ | 1.07 | | | 26.0 | | 6.5 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16154 | პანამა-აშშ | 3.4 | 1.2 |
| 16155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.25 | 2.9 |
| 16157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.25 | 2.9 |
| 16158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.06 | 4.6 |
| 16159 | ჩილე-ვენესუელა | 1.15 | 3.6 |
| 16160 | არგენტინა-ბრაზილია | 1.55 | 2.0 |
| 16164 | ბელარუსი-შოტლანდია | 1.4 | 2.35 |
| 16165 | ესტონეთი-პორტუგალია | 3.6 | 1.15 |
| 16167 | ფინეთი-პოლანდია | 2.9 | 1.25 |
| 16171 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.4 | 2.5 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12154 | პანამა-აშშ | 1.9 | 1.7 |
| 12155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.7 | 1.9 |
| 12157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.7 | 1.9 |
| 12158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.6 | 2.0 |
| 12159 | ჩილე-ვენესუელა | 1.9 | 1.7 |
| 12160 | არგენტინა-ბრაზილია | 1.7 | 1.9 |
| 12164 | ბელარუსი-შოტლანდია | 1.6 | 2.0 |
| 12165 | ესტონეთი-პორტუგალია | 1.9 | 1.7 |
| 12167 | ფინეთი-პოლანდია | 1.9 | 1.7 |
| 12170 | ისლანდია-მალტა | 2.2 | 1.5 |
| 12171 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.6 | 2.0 |
| 12173 | ესპანეთი-ბოსნია | 2.0 | 1.6 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14149 | კორეა-იაპონია | 2.5 | 1.3 |
| 14150 | ირანი-ბაჰრეინი | 1.2 | 2.6 |
| 14151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 2.2 | 1.7 |
| 14154 | პანამა-აშშ | 2.5 | 1.25 |
| 14155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.45 | 2.4 |
| 14157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.6 | 2.3 |
| 14159 | ჩილე-ვენესუელა | 1.2 | 2.6 |
| 14160 | არგენტინა-ბრაზილია | 1.7 | 2.1 |
| 14164 | ბელარუსი-შოტლანდია | 1.65 | 2.3 |
| 14165 | ესტონეთი-პორტუგალია | 2.5 | 1.3 |
| 14167 | ფინეთი-პოლანდია | 2.4 | 1.35 |
| 14171 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.65 | 2.3 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13154 | პანამა-აშშ | 1.7 | 1.9 |
| 13155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.7 | 1.9 |
| 13157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.7 | 1.9 |
| 13158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.9 | 1.7 |
| 13159 | ჩილე-ვენესუელა | 1.7 | 1.9 |
| 13160 | არგენტინა-ბრაზილია | 1.6 | 2.0 |
| 13164 | ბელარუსი-შოტლანდია | 1.7 | 1.9 |
| 13165 | ესტონეთი-პორტუგალია | 1.7 | 1.9 |
| 13167 | ფინეთი-პოლანდია | 1.7 | 1.9 |
| 13170 | ისლანდია-მალტა | 1.9 | 1.7 |
| 13171 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.7 | 1.9 |
| 13173 | ესპანეთი-ბოსნია | 1.9 | 1.7 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15149 | კორეა-იაპონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15150 | ირანი-ბაჰრეინი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15152 | ს.არაბეთი-უზბეკეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | პანამა-აშშ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15157 | კოლუმბია-ეკვადორი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15159 | ჩილე-ვენესუელა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15160 | არგენტინა-ბრაზილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15164 | ბელარუსი-შოტლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | ესტონეთი-პორტუგალია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15167 | ფინეთი-პოლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | საბერძნეთი-უკრაინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17149 | კორეა-იაპონია | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ირანი-ბაჰრეინი | 1.85 | [illegible] |
| 17151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ს.არაბეთი-უზბეკეთი | 1.85 | [illegible] |
| 17153 | მექსიკა-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | პანამა-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.85 | 1.95 |
| 17157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.85 | [illegible] |
| 17159 | ჩილე-ვენესუელა | 1.85 | [illegible] |
| 17160 | არგენტინა-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ყაზახეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ჩეხეთი-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ლატვია-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ბელარუსი-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ესტონეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17166 | რუმინეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ფინეთი-პოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | დანია-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ისლანდია-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17171 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ფარერები-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ესპანეთი-ბოსნია | 1.85 | 1.95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11154 | პანამა-აშშ | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 1.9 |
| 11155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11157 | კოლუმბია-ეკვადორი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.6 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11159 | ჩილე-ვენესუელა | 1.8 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11160 | არგენტინა-ბრაზილია | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11164 | ბელარუსი-შოტლანდია | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11165 | ესტონეთი-პორტუგალია | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 1.9 |
| 11167 | ფინეთი-პოლანდია | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11171 | საბერძნეთი-უკრაინა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

# I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10149 | კორეა-იაპონია | 5.0 | 2.3 | 1.8 | 1.57 | 1.32 | 1.0 |
| 10150 | ირანი-ბაჰრეინი | 1.65 | 2.4 | 4.2 | 1.0 | 1.18 | 1.52 |
| 10151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 4.2 | 2.0 | 2.35 | 1.35 | 1.5 | 1.08 |
| 10152 | ს.არაბეთი-უზბეკეთი | 1.7 | 2.4 | 4.2 | 1.0 | 1.21 | 1.52 |
| 10154 | პანამა-აშშ | 5.8 | 3.0 | 1.3 | 1.97 | 1.06 | 1.0 |
| 10155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 2.0 | 2.1 | 5.0 | 1.02 | 1.42 | 1.47 |
| 10157 | კოლუმბია-ეკვადორი | 2.2 | 2.0 | 4.2 | 1.04 | 1.44 | 1.35 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.55 | 2.4 | 6.8 | 1.0 | 1.26 | 1.77 |
| 10159 | ჩილე-ვენესუელა | 1.8 | 2.3 | 5.5 | 1.0 | 1.35 | 1.62 |
| 10160 | არგენტინა-ბრაზილია | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10164 | ბელარუსი-შოტლანდია | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10165 | ესტონეთი-პორტუგალია | 6.5 | 2.4 | 1.7 | 1.75 | 1.34 | 1.0 |
| 10167 | ფინეთი-პოლანდია | 5.1 | 2.2 | 2.0 | 1.53 | 1.43 | 1.04 |
| 10171 | საბერძნეთი-უკრაინა | 2.5 | 2.0 | 3.9 | 1.11 | 1.52 | 1.32 |

# სტეფანია ალავერდს პრეზიდენტთან გადავიდა

## ნბა-ში მოთამაშე ქართულმა ტრიომ მიზანში აკადემია ამოიღო

**მსოფლიოში, უფრო მეტად კი ევროპაში მიღებული პრაქტიკა, როცა საქვეყნოდ განთქმული კალათბურთელი საკუთარ აკადემიას აყალიბებს, ამით ქვეყანას ხომ არგებს, თავადაც სოლიდურ შემოსავალს იღებს. თბილისში საკალათბურთო აკადემიის შექმნის იდეა ალბათ კარგა ხანია, დაებადათ ნბა-ში წასულ ქართველებს, თუმცა გუშინწინდლამდე ეს განზრახვა მათ ღიად არ გამოუხატავთ. ახლა ნბა-ურმა ტრიომ ეს ინიციატივა პირდაპირ ქვეყნის პრეზიდენტთან გამოამზეურა, როცა მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმერ სტეფანია, ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი და კიდევ რამდენიმე მწვრთნელ-სპორტსმენი თავისთან კანცელარიაში გუშინწინ იხმო.**



ვლადიმერ სტეფანია

[illegible] ფოტო

ალმოჩნდა, რომ საკალათბურთო სკოლის შექმნის ინიციატორი სტეფანია, რომელსაც გვერდში დანარჩენი [illegible] ამოუდგნენ და თუ ამ ტიპის სახელმწიფოც ხელს წაა-შველის, მალე თბილისში უმაღლესი დონის საკალათბურთო სასწავლებელი გაიხსნება. საპრეზიდენტო [illegible] ამბები ვლადიმერ სტეფანიას გამოვკითხეთ, თუმცა ცხადია, თავდაპირველად მისი განმარტებით დავინტერესდით.

— [illegible] წინ [illegible], მაგრამ პროგრესი [illegible]. [illegible] ისევ არასტაბილური მდგომარეობა, ფეხი 2-3 თვე რომ კარგად მაქვს, მომდევნო [illegible] ძალიან მაწუხებს ხოლმე.

— კმაყოფილი არ ხარ ქართველი [illegible]?

— [illegible] ვარ და თანაც არა. [illegible]

— პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს კალათბურთელები რომ მიგიწვევიათ, რა იყო მიზეზი?

— [illegible]

— რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე მიხეილ სააკაშვილმა და რა იყო თქვენი საუბრის თემა?

— პრეზიდენტი კალათბურთის [illegible], [illegible] როგორც თავად კალათბურთელები. ამ შეხვედრაზე პოლიტიკაზე ხომ არ ილაპარაკებდა, ჩვენს პროფესიაზე უნდა ელაპარაკა. მან წარმატებები გვისურვა, კალათბურთის დახმარება აღგვითქვა და გარკვეულ გეგმებზეც გვესაუბრა.

— **რაზე კონკრეტულად?**

— ზაზა ფაჩულიამ პრეზიდენტს იმ საწვრთნელი კემპის გეგმა გააცნო, რომელსაც 13-დან 16 ივნისამდე ვერის პარკში ჩაატარებს. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა კი ტრადიციული პრობლემები შეახსენა სააკაშვილს და დახმარების გარანტიაც მიიღო. მალე 500 ფარს და კიდევ ნაირგვარ საკალათბურთო ატრიბუტიკას მიიღებს ფედერაცია, რომელიც საკალათბურთო და საშუალო სკოლებს დაურიგდება.

— **ტელევიზიით გნახეთ, საკალათბურთო სკოლის გახსნაზე რომ ლაპარაკობდით...**

— ჰო, საკალათბურთო აკადემიის თუ სკოლის გახსნა გვინდა. პრინციპში ეს თემა მე წამოვწიე, რაშიც ზაზამ და ნიკამაც ამიბეს მხარი. ყველას გვინდა, რომ კალათბურთი აღორძინდეს, მაგრამ კერძო ინიციატივის გარეშე ეს არ მოხდება. სახელმწიფოს რაც არ უნდა ეცადოს, კალათბურთს პროფესიულ დონეზე ვერ ააღორძინებს. ფედერაცია ცდილობს, რომ ფარები, პროჟექტორები, ფიცარნაგი და ბადეები იშოვოს დარბაზებისთვის და შოულობს კიდეც, მაგრამ ეს საქმიანობა მაინც ზოგადია იმასთან, რაც კერძო დაინტერესებულ პირს შეუძლია გააკეთოს.

— **ამაში რას გულისხმობ?**

— იმას, რომ სახელმწიფოს შეუძლია, გაზარდოს ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლებში, მისცეს ფედერაციას 500 ფარი და ბურთი, მაგრამ ის ვერ მოიწვევს ამერიკელ სპეციალისტს და ვერ დაუნიშნავს დიდ ხელფასს. სახელმწიფო ვერ ჩამოიყვანს ნბა-ს ვარსკვლავებს და ვერ იქნება იმის გარანტი, რომ აქ დაოსტატებული ბიჭები ამერიკის სტუდენტურ თუ პროფესიულ ლიგებში ითამაშებენ.

— **რამე კონკრეტული გეგმა გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი აწონ-დაწონილი მაქვს და მცირე დეტალებიც განგარიშებული. თუ ჩვენ კერძო საკალათბურთო სკოლას ჩამოვაყალიბებთ, მე გარანტიას ვიძლევი, რომ მასში იქნება პროფესიონალური ატმოსფერო და 500-600 ბავშვი და მოზარდი უმაღლესი დონის სპეციალისტების ხელში ისწავლის კალათბურთის თამაშს.

— **სამისოდ რა არის საჭირო? პრეზიდენტს თუ გააცანი ეს გეგმა?**

— მე და ჩემი მეგობრები მზად ვართ, სოლიდური თანხა გავიღოთ ამ სკოლის გასახსნელად, მაგრამ არც ისეთი გაქანება გვაქვს, რომ საკუთარი დარბაზები ავაშენოთ. ამას მილიონები სჭირდება. ჩვენ გვინდა, ამ საქმეში სახელმწიფო დავიხმაროთ. ორი-სამი დარბაზი გამოგვიყონ ხანგრძლივი იჯარის წესით და დანარჩენს ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზე.

— **დავუშვათ გამოგიყვეს, რას აპირებთ მერე?**

— გაიხსნება საკალათბურთო სკოლა, რომელშიც ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსული სპეციალისტები ასწავლიან თავდაპირველად. ერთი თვე ამერიკელი, მეორე თვე სერბი, მერე ხორვატი და სლოვენიელი. ამასობაში აქაური მწვრთნელებიც ისწავლიან იმდენს, რომ პერსპექტიული ბავშვებისგან ღირსეული სპორტსმენები აღზარდონ. ერთი სიტყვით, გეგმა შემუშავებული მაქვს, ჩემი სათქმელი ვთქვი და ახლა სახელმწიფოზე, შესაბამისად ფედერაციაზეა, როგორ დაგვიდგებიან მხარში.

— **ფიქრობ, რომ ეს სკოლა ქართული კალათბურთის აღორძინების გარანტი იქნება?**

— ეს სკოლა თუ არ გაკეთდა, ქართველი ახალგაზრდები უცხოეთში 200 ევროდ სათამაშოდ ისევ ისე წავლენ და საერთაშორისო საკალათბურთო წრეები სათანადო დაინტერესებას არ გამოხატავენ ჩვენით. მე მარტო არ ვარ ამ საქმეში, არამედ შემონდ უილიამსი და არაერთი ამერიკელი ნაცნობი თუ ყოფილი თანაგუნდელი მიდგას გვერდში. ამას დაამატეთ ფაჩულიას და ცქიტიშვილის ნაცნობ-მეგობრები და ჩათვალეთ, რომ თუ ჩვენ საკალათბურთო სკოლას გავხსნით, მას საერთაშორისო ყურადღება არ მოაკლდება. აქ სისტემატურად ჩამოვლენ უმაღლესი დონის პროფესიონალი მწვრთნელები და მოთამაშეები. ამ სკოლიდან უცხოურ საკალათბურთო ლიგებში გამგზავრება იოლი იქნება. აი, მე პირობას ვდებ, რომ 208 სანტიმეტრზე მაღალ, მოძრავ, პროპორციული აღნაგობის ინგლისურის მცოდნე ახალგაზრდას ულაპარაკოდ გავაგზავნი ამერიკის სტუდენტურ ლიგაში სათამაშოდ. ის იქ 4 წელიწადს იქნება და მერე ნბა-ში თუ არა, ევროპის წამყვან საკალათბურთო ლიგაში მაინც მოხვდება. ასეთი ათიც რომ გაზარდოს ჩვენმა 600-კაციანმა სკოლამ წელიწადში, დაითვალეთ, რამხელა მოგებას ვნახავთ, როგორც მატერიალურად, ისე ნაკრების საკადრო მხრივ. ასე რომ... ჯერი სახელმწიფოზეა.

**ირაკლი პერტაია**

NBA | PLAY OFF 2005 კონფერენციის ფინალი

# დეტროიტი ფინალიდან ფინალში

## მე თქვენ მიყვარხართ!

6 ივნისი
აღმოსავლეთი
მაიამი 3:4 დეტროიტი
**მაიამი 82:88 დეტროიტი**

მაიამი: უეიდი (20), დ. ჯონსი (1), ე. ჯონსი (10), ჰეისლიპი (13 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (27); დულინგი (6), მურნინგი (5), ბატლერი, სმიტი

დეტროიტი: ბილაპსი (18), ჰამილტონი (22), პრინსი (13), რ. უოლესი (20), ბ. უოლესი (8); მაკდაისი (6), კემპბელი (1), ჰანტერი

**რა** ნერვები, რის წნეხი, „დეტროიტ პისტონზმა" სწორედ და [illegible] მოწინააღმდეგის [illegible] „ჰითი" და [illegible] ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდა. ხოლო 9 ივნისიდან „სან ანტონიო სპურზს" დაეჯახება.

მღელვარება და ბორგვა თამაშის მერე იყო, თორემ ხულ სხვაგვარი. ამ ბორგვას საერთო არაფერი ჰქონდა თამაშამდელ შიშთან და გულის ფრიალთან. [illegible] ბრძენი [illegible] ლარი ბრაუნი ჟურნალისტებს [illegible], ამ ხალხს თავი რომ დააღწია, გასახდელში გაიქცა — მეგობრების ჩახუტება უნდოდა. „სად არიან ჩემი ბიჭები?" ასე კითხვა-კითხვით მიაგნო სათადარიგო ლინდსი ჰანტერს, გულში ჩაიკრა და უთხრა — მიყვარხარო. მერე შორიახლო დალანდა ბედნიერებისგან სახეარეული ტაიშონ პრინსი...

„ჭკუაზე არა ვარ — ამბობს „პისტონზის" მთავარმეტულე რიპ ჰამილტონი — სიზმარი ცხადად მექცა. არა, თქვენ თუ იცით, სად დავიბადე? ქოუთსვილი გაგიგიათ? ეს პენსილვანიის შტატშია. იქ რომ ვიზრდებოდი, ბავშვობაში ვერც კი ვიოცნებებდი, რომ 27 წლისას ერთი საჩემპიონო ბეჭედი თითზე მექნებოდა და მეორესთვის შრომა მომიწევდა."

ჰამილტონმა ჭკუას ძალა დაატანა და კიდევ რაღაცეები ილაპარაკა, შემდეგ კი გასახდელში ღრიალით შევარდა — „ჩვენ ეს გავაკეთეთ! ჩვენ ეს გავაკეთეთ!"



დეტროიტელი რიპ ჰამილტონი ფინალში ზედიზედ მეორედ ითამაშებს

„დეტროიტმა" შეუძლებელი არა, მაგრამ ძალიან ძნელად შესაძლებელი რამ შეძლო — „მაიამისთან" უმძიმესი სერიის მეხუთე მატჩის წაგებისა და 2:3 ჩამორჩენის შემდეგ ორ თამაშში იძალა და თავიანთ პირველ ფინალზე მეოცნებე მაიამელები აღმოსავლეთშივე ჩატოვა.

არადა, „ჰითს" დაუბრუნდა მეხუთე მატჩში დამტვრეული და მეექვსეს გამომტოვებელი ბომბარდირი დუეინ უეიდი. „მაიამი" მეექვსე თამაშში სწორედ ამ ჯეელის არყოფნის გამო განადგურდა 25 ქულით. ახლა უეიდი, ტრავმის მიუხედავად, რიგიანად ირჯებოდა და 20 ქულაც გაახერხა.

ლომივით იბრძოდა შაკილ ონილი — 33 წლის დევშაკმა 27 ქულა მოინაგრა, რაც მისთვის წლევანდელ პლეი ოფში სარეკორდოდ ბევრია, მაგრამ ამითაც ვერ უწამლა „ჰითს". თამაში თანაბარი და თავიდან ბოლომდე დაძაბული იყო, სწორედ სერიის მეშვიდე მატჩის სადარი. ერთმა გუნდმაც ვერ მოახერხა, მეტოქეს თუნდაც 10 ქულით გაქცეოდა და ასე გვერდიგვერდ იარეს ბოლო წუთებამდე, აქ კი დეტროიტელებს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდათ.

საფინალო სირენამდე დაახლოებით წუთნახევრით ადრე მასპინძლები 79:78 იგებდნენ, როცა დეტროიტელმა რაშიდ უოლესმა წყვილი საჯარიმოთი უკანასკნელად ჩამოართვა ლიდერობა „მაიამის". ოციოდ წამში მანვე პრინსის აცილებული მოიხელთა და კალათში ჩააბრუნა, ხოლო 3 ქულით ჩამორჩენილმა მაიამელებმა ისლა მოიფიქრეს, რომ დარჩენილ დროში სამჯერ დაჯარიმდნენ სტუმრებზე. ამათაც გგონიათ, ხელი აუკანკალდათ? ნურას უკაცრავად. ექვსივე ტყორცნა ჩააგდეს და წაგებულ მეტოქეს ხავსიც გამოაცალეს თითებიდან.

ახლა დეტროიტელები ორი დღე დაისვენებენ და ხუთშაბათ საღამოს დასავლეთის ჩემპიონ „სან ანტონიო სპურზს" „ესბისი სენთერში" ეწვევიან. დიდი ფინალის პირველ ორ მატჩს ექსჩემპიონი „სპურზი" მასპინძლობს. მაშ, დიდი ფინალი იწყება ხუთშაბათიდან. ერთხელაც შეგახსენებთ, ერთმანეთს შეებმებიან 2003 და 2004 წლის ჩემპიონები — „სან ანტონიო" და „დეტროიტი".

**კოტე ყორშია**



შოთა ხაბარელს (მარჯვნივ) საკლუბო საფიქრალი მომატა

# შოთა ხაბარელი: ფსიქოლოგიურად გაგვტეხეს

**უშედეგო ევროდებიუტის შემდეგ ძიუდოს კლუბი „საგარეჯო" თბილისში დაბრუნდა. აბენსბერგული წარუმატებლობის გახსენება და მასზე საუბარი ალარავის უნდა. აზრი ერთია — სეზონის პირველი ნაწილი უცუდესად დასრულდა და საჩემპიონოდ შექმნილი კლუბის იმედიც ერთი წლით გადაიდო. საქართველოს ნაკრებისა და „საგარეჯოს" მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ინტერვიუზე მაინც სიამოვნებით დაგვთანხმდა და კითხვებზე გულახდილად გვიპასუხა.**

— 3:9 წავაგეთ, მაგრამ სულ თავისუფლად შეიძლებოდა, სხვაობა უფრო დიდიც ყოფილიყო. ამის უმთავრესი მიზეზი საშინელი მსაჯობაა. სიმართლე გითხრათ, მსგავსი უსამართლობა აქამდე არსად მინახავს. არც ერთ ტურნირზე არავინ ასე არ იჩაგრება.

**— კმაყოფილი ალბათ არც თავად ჩვენი ბიჭების ჭიდაობით იქნებით...**

— საერთო შეხედულებით, გუნდმა თავისი რეალური შესაძლებლობის ორმოცდაათი პროცენტიც კი ვერ გამოავლინა.

**— გადატვირთული სეზონი ჰქონდათ და ესეც ხომ არ იყო ერთ-ერთი მიზეზი?**

— რომ დაგეთანხმოთ, მაშინვე მკითხავთ, ნუთუ აბენსბერგელ ძიუდოისტებს არ ჰქონდათ მძიმე სეზონიო. ცხადია, საერთაშორისო ტურნირებისა და ევროპის ჩემპიონატის გამო ყველა გადაიღალა, მაგრამ ფსიქოლოგიურმა წნეხმა საშინლად დაამძიმა ჩვენი მდგომარეობა. ეს შეგნებულად გაგვიკეთეს.

**— ჯერ კიდევ გერმანიაში წასვლამდე შიშობდით, მსაჯები დაგვჩაგრავენო. არ შეიძლებოდა, მათი შეცვლა მოგეთხოვათ?**

— რამდენჯერმე მოვითხოვეთ, მაგრამ ვერც ერთხელ დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ. გვაიმედებდნენ, არანაირ მიკერძოებას ადგილი არ ექნებაო.

**— უშუალოდ ჭიდაობისას პროტესტის შეტანას აზრი აღარ ჰქონდა?**

— შედეგს ველარავინ შეცვლიდა. მსაჯებით უკმაყოფილება ხმამაღლაც გამოვთქვით, მაგრამ... შეხვედრის დასრულების შემდეგ თვით „აბენსბერგის" თავკაცმა, ევროპის ძიუდოს ფედერაციის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ოტო კნეითინგერმა მოგვიხადა ბოდიში. გვითხრა, ცუდ მსაჯობაში ჩემი ხელი არ ურევიაო. არადა, ეს სცენარი წინასწარვე იყო დაწერილი. პირველსავე შეხვედრებში მასპინძლების სასარგებლოდ ისეთი შეცდომები დაუშვეს, არა მარტო დაჩაგრული ქართველი ძიუდოისტები, ტატამს მიღმა მყოფნიც მოგვაქციეს ფსიქოლოგიურ წნეხში. სწორედ ამის გამო იყო, არავინ თავის თავს რომ აღარ ჰგავდა.

**— წინასწარი ინფორმაციით, „აბენსბერგ"- — „საგარეჯოს" დაპირისპირებას ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერიც უნდა დასწრებოდა...**

— ვიზერი გერმანიაში მართლაც ჩამოვიდა და დარბაზშიც იყო. უსამართლო მსაჯობითაც ალალად აღშფოთდა. შეხვედრის დასრულებისთანავე მსაჯებთან ჩავიდა და ყველას თვალწინ ხმამაღლა გაკიცხა.

**— მაგრამ პრობლემა ხომ ამით არ მოგვარებულა?**

— ვიდეოჩანაწერიდან მსაჯების შეცდომებს ამოვჭრით, დავამონტაჟებთ და ევროპის ფედერაციაში გავაგზავნით. როგორ იმოქმედებენ და ვის დასჯიან, მერე გამოჩნდება.

**— ევროპის ჩემპიონატიდან თბილისში დაბრუნებული სპორტსმენები საკლუბო თასისთვის მოსამზადებლად მეორე დღესვე შეკრიბეთ. ხომ არ ჯობდა, რამდენიმე დღით დაგესვენებინათ?**

— წინასაგერმანიე შეკრება დიდი დატვირთვებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ვცდილობდი, ძალების აღსადგენად ყველასთან ინდივიდუალურად მემუშავა. მთავარი პრობლემა წონის დაკლება იყო. დაახლოებით ორკვირიან პერიოდში ამის ორჯერ გაკეთება უმძიმესი რამაა. ჩემი უმთავრესი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ გერმანიაში პირველი შეიდეულის გამოსვლის შემდეგ გუნდი არ მოვხსენი. ამას სერიოზულად ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე, მაინც მეგონა, რომ მსაჯები ბოლომდე არ გაგვწირავდნენ.

**— „აბენსბერგის" საჩემპიონო შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— ეს პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, თუ სად ჩატარდება ფინალური ეტაპი. თუ მას სანკტ პეტერბურგმა უმასპინძლა, უკვე რუსული „იავარა ნევას" მხარეს გადაიხრებიან მსაჯები. სამწუხაროდ, მსგავსი სიბინძურეები საკლუბო დონეზე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

**— საგარეჯოს" პრეზიდენტთან თუ ისაუბრეთ გუნდის მომავალზე?**

— გია ნაცვლიშვილისთვის ეს წარუმატებლობა ისეთივე მოულოდნელი და მტკივნეული იყო, როგორც ჩვენთვის. იმედგაცრუებამ ძლიერი კლუბის ჩამოყალიბების სურვილი უფრო გაუზარდა და სამომავლო კონტურებიც მოვხაზეთ.

**— შემადგენლობაში დიდ ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— ცვლილებები აუცილებლად იქნება, თუმცა ამის მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**— ლეგიონერთა რაოდენობის გაზრდას აპირებთ?**

— ეს გაძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიმაჩნია.

**— ტანგრიევი გაისადაც საგარეჯოელი იქნება?**

— აბდულასთან კონტრაქტი ორი წლით გავახანგრძლივეთ, მისი გარჯით მართლა კმაყოფილები დავრჩით.

**— ბოლოს ნაკრებზე და სექტემბრის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვთქვათ.**

— სასექტემბრო სამზადისის დაწყებამდე ბიჭებს 10-14 დღით დავუშვებ დობები. ახლა მათ ყველაზე მეტად დასვენება სჭირდებათ. უმძიმესი სამთვიანი კურსის შემდეგ აუცილებლად უნდა განიმუხტონ. ფსიქოლოგიურადაც მომჯობინდებიან და მსოფლიოს ჩემპიონატის ციკლს დავიწყებთ.

**ოთარ გალლაძელიძე**



# ხუთი რგოლი, ხუთი ქალაქი და ხუთი დასკვნა

**მადრიდის, მოსკოვის, ლონდონის, ნიუ იორკისა და პარიზის მოქალაქენი, რომლებიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში თავიანთ ქალაქებს გულშემატკივრობენ, სულმოუთქმელად ელოდნენ ორშაბათს. საქმე ის იყო, რომ სწორედ ამ დღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელ კომისიას, რომელიც პრეტენდენტი ქალაქების შესაძლებლობებს სწავლობდა, თავისი მუშაობის შედეგებზე ოფიციალური მოხსენება უნდა გაეკეთებინა.**

**და გააკეთა კიდეც.**

**ამ მოხსენების** მიხედვით, ყველაზე მეტი კრიტიკა მოსკოვს დაატყდა თავს. რუსეთის დედაქალაქს ძირითადად აკრიტიკებდნენ მისი პროექტის შესაფასებლად აუცილებელი დაგეგმვისა და კონკრეტული ინფორმაციის არქონის გამო.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ლონდონი, მადრიდი და ნიუ იორკი გაცილებით ნაკლებად გააკრიტიკეს, ხოლო კომისიის მოხსენების მიხედვით პარიზს ნაკლოვანებები ფაქტობრივად ვერ უპოვეს.

ეს მოხსენება, რა თქმა უნდა, არ იძლევა პასუხს იმაზე, თუ ვინაა ფავორიტი, მაგრამ ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ლონდონის შანსები საკმაოდ გაიზარდა.

თუმცა, ყველაზე წინ მაინც პარიზი რჩება. შემფასებელი კომისიის მოხსენებაში პარიზის წინააღმდეგ პრაქტიკულად ერთი კრიტიკული სიტყვაც ვერ იპოვეს.

ექსპერტები აღნიშნავენ სპორტსმენთა ცხოვრების საუკეთესო პირობებს, ბრწყინვალე სატრანსპორტო სისტემას და „კარგად დოკუმენტირებულ" ბიუჯეტს.

ლონდონის პროექტის თაობაზე ითქვა, რომ მის განსახორციელებლად საჭიროა გულმოდგინე დაგეგმარება, რათა ობიექტები დროულად ჩაბარდეს. კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც სოკ-ის კომისიის წევრები ყურადღებას განსაკუთრებით აპყრობენ, ესაა ბრიტანეთის დედაქალაქის საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის მდგომარეობა, რომელიც სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

მადრიდის ძირითადი პრობლემა სასტუმროებია. ექსპერტთა თქმით, შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ქალაქების სასტუმროების დახმარება, რომლებიც ესპანეთის დედაქალაქის მახლობლადაა.

ნიუ იორკმა მთლიანობაში დადებითი შეფასება მიიღო. თუმცა, მოხსენებაში აღინიშნა ის გაურკვევლობა, რომელიც დაიბადა მანჰეტენზე სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულებაც 2 მილიარდი დოლარია.

ამ ქალაქთაგან გამარჯვებული საბოლოოდ გამოცხადდება 6 ივლისს სინგაპურში გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე სინგაპურში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლო კანდიდატებს [illegible] წევრი უფრის კენჭს. [illegible] კი იმისთვის იყო საჭირო, [illegible] თოეულ კანდიდატზე [illegible] თული წარმოდგენა შექმნოდათ.

როგორც დასაწყისში [illegible] მოხსენებას დიდი მოუთმენლობით ელოდნენ უკლებლივ ყველა ქალაქში.

ბევრი თვლის, რომ შეფასებელი კომისიის დოკუმენტის [illegible] დვით, თუ მას [illegible] ცნობით, შესაძლოა [illegible] უცხელო დასკვნა [illegible] თაობაზე, ან [illegible] ნაღდ აუტსაიდერზე [illegible] თუ ისტორიას გავიხსენებთ, [illegible] ლაფერი ყოველთვის ნათელი [illegible] ლაც არაა. მაგალითად, 1996 წლის ყველანი დარწმუნებულნი [illegible], რომ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ასწლიან საიუბილეო [illegible] პარეზობებს ათენი უმასპინძლებს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ატლანტამ გაიმარჯვა.

მართალია, საბერძნეთის [illegible] ქალაქი მაინც გახდა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, მაგრამ [illegible] მხოლოდ შარშან მოხდა [illegible] დროს, როცა 2004 წლის მასპინძლობის პატივს ლამის ყველა რისკ უწინასწარმეტყველებდა.

ასევე იყო 2000 წელსაც, როცა სპორტსმენები და გულშემატკივრები ჩინეთის დიდ კედელზე გასეირნებას აპირებდნენ, მაგრამ მის ნაცვლად სიდნეიში მოუხდათ გამგზავრება. თუმცა, პეკინმა 2008 წლის ბრძოლაში მაინც გაიმარჯვა.

ამ სტატისტიკის მიხედვით [illegible] გამოდის, რომ ამჟამად გამარჯვების უეჭველმა ფავორიტმა პარიზმა მოულოდნელი მარცხი უნდა განიცადოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს რევანშის აღებას.

ასეა თუ ისე, ერთი თვეც აღარ დარჩა იქამდე, სანამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავის საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. მანამდე კი მოსკოველ ჩინოვნიკებსა და რუსეთის სპორტულ მიხედველებს მაინც სჯერათ, რომ მათთვის საქმე არც ისე ცუდადაა...

**ავთანდილ ჭყუიშელი**

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 9

## ვოლფგანგ ფონ ტრიპსი

დაიბადა 1928 წლის 4 მაისს კიოლნის მახლობლად ჰემერბახში (გერმანია)
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1957-61 წლებში
1961 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი
1957 – 4 ქულა, მე-12 ადგილი
1958 – 9 ქულა, მეათე ადგილი
1959 – 3 რბოლა, 0 ქულა
1960 – 10 ქულა, მეექვსე ადგილი
1961 – 33 ქულა, მეორე ადგილი
მოიგო ორი დიდი პრიზი – ჰოლანდიის (1961) და დიდი ბრიტანეთის (1961)
27 რბოლა, 6 (2+2+2) პოდიუმი, 1 პოული, 56 ქულა
გუნდები: „ფერარი" (1957-61), „პორშე" (1959), „კუპერი" (1960)
დაიღუპა 1961 წლის 10 სექტემბერს „მონცაზე" იტალიის დიდი პრიზის გათამაშებისას



ვოლფგანგმა მოკლე, მაგრამ კაშკაშა ცხოვრება განვლო და სანთელივით დაიფერფლა მწვერვალიდან სულ რაღაც ერთ ნაბიჯში — ეს სიტყვები მის თანაგუნდელს, მსოფლიოს 1961 წლის ჩემპიონ ფილ ჰილს ეკუთვნის.

გერმანელმა გრაფმა ფოლფგანგ ბერგე ფონ ტრიპსმა, ისევე როგორც სხვა დიდმა მრბოლებმა — ინგლისელმა სტირლინგ მოსმა, ფრანგმა დიდიე პირონიმ — შემთხვევის გამო ვერ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. გრაფისთვის ეს ფატალური ტრაგედია გახდა.

ტაფიმ (ტრიპსის მეტსახელი იყო) თავისი ხანმოკლე ცხოვრება გაატარა კიოლნის მახლობლად საგვარეულო მამულ ჰემერბახში. იქ ახლა პატარა მუზეუმია იმ მეფორმულისა, რომელიც „სამეფო რბოლების" ლეგენდად იქცა არა იმდენად თავისი სიცოცხლით, რამდენადაც სიკვდილით.

### მგლის ლეკვი

მისი სახელი იყო ვოლფგანგი, მაგრამ მშობლები მოფერებით ვოლფჰენს — მგლის ლეკვს ეძახდნენ. მოუსვენარი, პატარა გრაფი დილიდან საღამომდე დანავარდობდა XIV საუკუნის თავიანთი სასახლის შემოგარენში. ერთხელ პარკში იგი გადაეყარა ბოშა ქალს, რომელმაც უთხრა, გიმკითხავებო, მაგრამ როგორც კი დახედა ბავშვის ხელისგულს, შეშფოთებულმა შესძახა — საშინელ კატასტროფაში დაიღუპება ვიწყებიაო. ეს ავბედითი წინასწარმეტყველება ბიჭს, ცხადია, მეხსიერებაში ჩარჩა.

ჰემერბახი ძალიან ახლოა ნიურბურგთან, სადაც 1927 წელს გაიხსნა სახელგანთქმული ტრასა „ჩრდილოეთის მარყუჟი". ვოლფგანგი შვიდი წლის იყო, როცა მამამისმა რბოლის სანახავად წაიყვანა. მას შემდეგ „ნიურბურგრინგზე" ერთი შეჯიბრებაც არ გაუცდენია და სამუდამოდ შეიყვარა ავტოსპორტი.

თერთმეტი წლისას მძიმე სენი — შაქრიანი დიაბეტი შეეყარა, რის შემდეგაც სახე ნაწილობრივ პარალიზებული დარჩა და ვოლფგანგს ფაქტობრივად ხელახლა მოუხდა ლაპარაკის სწავლა. თანდათან სახის კუნთების ფუნქცია კი აღდგა, მაგრამ გადატანილმა ინფექციურმა დაავადებამ ორგანიზმში შაქრის შემცველობა დაურღვია და რბოლის დროსაც კი მანქანაში თან ჰქონდა შაქრის ნატეხები.

1946 წელს ვოლფგანგი მშობლების დაჟინებით არქიტექტურულ კოლეჯში შევიდა და პედაგოგების დამოწმებით იყო გამორჩეულად ნიჭიერი, ოღონდ ზარმაცი ახალგაზრდა. ერთადერთი საგანი, რასაც გული დაუდო, უცხო ენები იყო და მალე მშვენივრადაც დაეუფლა ინგლისურს და ფრანგულს.

მდიდარი, სიმპათიური გრაფი კარგა ხანს ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა: უმეტეს დროს ატარებდა ლამაზმანებთან, რომლებიც ფუტკრებივით ეხვეოდნენ.

კოლეჯის შემდეგ ვოლფგანგმა ბავშვობის ოცნება აისრულა, ოღონდ ჯერ მოტოციკლით დაიწყო. 1950 წელს შეიძინა 500-კუბურძრავიანი BMW R51 და მალე მშვენიერ შედეგებსაც მიაღწია, თუმცა გული მაინც უფრო სწრაფ და მძლავრ ავტოებისკენ მიუწევდა. და 1954 წელს „პორშე 356"-ის საჭეს მიუჯდა, ოღონდ წარუმატებლობის შემთხვევაში მამის ბანკის რეპუტაციისთვის ჩრდილი რომ არ მიეყენებინა, შეჯიბრებებში აქსელ ლინტერის ფსევდონიმით გამოდიოდა. ამ მობერებული სპორტული მანქანით აქსელმა მოიგო გერმანიის ჩემპიონატი და მეტად პრესტიჟული ათასმილიანი მარათონი იტალიის გზებზე.

პერსპექტიულ გერმანელ მძღოლს თვით ენცო ფერარიმ დაადგა თვალი და თავის საჯინიბოში მიიწვია.

### გრაფი ავარია

პარადოქსული იყო კომენდატორეს დამოკიდებულება ტრიპსისადმი, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში აურია „ფერარი" დალეწა. მძიმე ხასიათის, ემოციური ენცო კი, თუმცა ზედმეტად დაჰკანკალებდა თავის „შვილებს", როგორც მარანელოში აგებულ წითელ ბოლიდებს ეძახდა, გალიზიანების მიუხედავად, გერმანელს ყველაფერს პატიობდა.

არადა, ვოლფგანგმა კარიერის ნორმალურად დაწყებაც ვერ მოახერხა, 1956 წელს იტალიაში „მონცაზე" რბოლისწინა ვარჯიშზე ახალი „ფერარი" სიცოცხლეს გამოასალმა. განსაკუთრებით მძიმე იყო შემთხვევა „ნიურბურგრინგზე" სპორტპროტოტიპით ვარჯიშისას — რამდენიმე მოტეხილობისა და ხერხემლის ტრავმის გამო სამი თვე საავადმყოფოში გაატარა. 1958 წელს „მონცაზე" ავარიაში ფეხი მოიტეხა.

ამდენი ფათერაკის შემდეგ ფონ ტრიპსმა შესატყვისი მეტსახელიც მიიღო — „გრაფი ავარია", ამერიკელებმა კი „ტაფი" შეარქვეს. ასე ეძახდნენ ორი საუკუნის წინათ უელსელი ემიგრანტები ყველაზე კეთილშობილ და მამაც კაცებს.

„ტაფის" კეთილშობილება 1957 წელს „მილე მილიას" (ათასი მილი) მარათონული რბოლისას გამოჩნდა.

ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრიღა რჩებოდა, როცა იგი ლიდერ პიერო ტარუფის წამოეწია. 51 წლის ვეტერანი ხანგრძლივ კარიერას ამთავრებდა და ოცნებობდა, ბოლოს და ბოლოს გაემარჯვა ყველაზე სახელგანთქმულ მშობლიურ რბოლაში, რომელიც ამდენი წელი ვერ დაეპყრო. მაგრამ „მილე მილიამ" მერამდენედ მწარედ დასცინა პიეროს, მის „ფერარის" სიჩქარეთა კოლოფი გაეჭედა და ვოლფგანგიც ადვილად წამოეწია. ცოტაც და გაუსწრებდა კიდეც, მაგრამ როცა მიხვდა, თუ რა სჭირდა მეტოქის მანქანას, მკვეთრად დააგდო სისწრაფე და საშუალება მისცა, ნანატრი წარმატება მოეპოვებინა ვეტერანს, რომელიც მანამდე დიდოსტატურად უძღვებოდა რბოლას.

ამ საქციელით ფონ ტრიპსი აპენინის გმირი გახდა. იტალიელები მას ტრიუმფატორის საკადრისი ზარ-ზეიმით შეეგებნენ.

### სიკვდილში სიცოცხლეა

ფონ ტრიპსს „ფერარიში" საქმეები თავიდან ხეირიანად ვერ წაუვიდა. ნიჭიერი მძღოლის ჯირითს სტაბილურობა აკლდა, ამიტომაც არცთუ იშვიათად საჭესთან მის ადგილს სხვა მრბოლი იკავებდა, თავად კი ამ დროს სპორტპროტოტიპებს მართავდა. გარკვეულწილად წარუმატებლობა იმის ბრალიც იყო, რომ ვოლფგანგი სხვა, არასაფორმულე „ფრონტზე" ფლანგავდა თავის ძალებს. ჯერ იყო და მოაწყო გერმანიაში ერთ-ერთი პირველი კარტოდრომი, ის, რომელზეც შემდგომ ავტოსპორტში ფეხი აიდგეს ძმებმა შუმახერებმა. იტალიელ ინჟინერ ვალერიო კოლოტისთან ერთად დააარსა საკუთარი სარბოლო გუნდი „სკუდერია კოლონია" და ავტომობილების მწარმოებელი კომპანია TCA (ტრიპსკოლოტი-აუტო). ყოველივე ამასთან ერთად, გრაფი ჟურნალისტიკამ და კინოქრონიკამ გაიტაცა. რბოლების დროსაც კი ხელით ჰქონდა პატარა კინოკამერა. უნდა ითქვას, რომ მშვენივრადაც იღებდა. მის მიერ გადაღებული მასალის უმეტესობა შევიდა ავტოსპორტის ისტორიისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმებში.

საქმე აეწყო იმ ავბედით 1961 წელს. სკუდერიელებმა რევოლუციური, ზვიგენისცხვირიანი „ფერარი 156" გამოუშვეს ტრასებზე. ახალი მანქანა სწრაფიც იყო და საიმედოც. შედეგმაც არ დააყოვნა — ორი დიდი პრიზის მოგებით და ორჯერაც მეორე ადგილით ფონ ტრიპსი ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი შეიქნა. სეზონის ბოლომდე ორი ეტაპით ადრე იგი ოთხი ქულით უსწრებდა ამერიკელ თანაგუნდელ ფილ ჰილს და ტიტულიც თითქმის განაღდებული ჰქონდა. მაგრამ 10 სექტემბერს მილანის მახლობლად „მონცას" ავტოდრომზე რბოლამ მას ჩემპიონობის ნაცვლად სიკვდილი მოუტანა.

იტალიის დიდი პრიზის გათამაშების უკვე მეორე წრეზე მოხდა ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე საზარელი კატასტროფა. ახალგაზრდა ბრიტანელმა ჯიმ კლარკმა ფონ ტრიპსის გასწრება მოინდომა, მაგრამ ვერ გათვალა. მანქანები ერთმანეთს შეეხნენ და გრაფის „ფერარის", რომელიც ორას კილომეტრზე მეტი სიჩქარით მიქროდა, გზა აებნა, ფერდობზე მდგომ მაყურებლებში შევარდა და 14 ადამიანი იმსხვერპლა. ვოლფგანგმა გონსმოუსვლელად, საავადმყოფოსკენ გზაზე დალია სული.

იმავე საღამოს კატასტროფა განიცადა თვითმფრინავმა, რომელზეც ფონ ტრიპსს შინ დასაბრუნებელი ბილეთი ჰქონდა აღებული. ყველა მგზავრი დაიღუპა.

რა გამოდის, ბედისწერას ვერსად გაექცევი?!

33 წლის გრაფი დაკრძალეს ფონ ტრიპსების საგვარეულო სამარხში, რომელსაც დევიზად აწერია — სიკვდილში სიცოცხლეა.

**გია ახალაძე**



1956. ვოლფგანგ ფონ ტრიპსი ნიურბურგში ავარიის შემდეგ



1961 წლის 10 სექტემბერი. ფორმულა 1-ის ყველაზე სისხლიანი დღე

# ფასკუნჯი მაღლა მიიწევს
## ლინდსიმ კი ნაპრალი გაიფართოვა



ლინდსი დევენპორტი

**წლევანდელმა** როლანგაროსობამ — როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე — სარეიტინგსიო თვალსაზრისით ყველაზე ღონივრად წარმატებულთ არგო, ყველაზე მაგრად კი ისინი აზარალა, ვისაც შარშანდელ როლანგაროსობაზე ევარგათ. კაცთა ორსავე ნუსხაში უზორბესი ნახტომები ფინალისტმა მარიანო პუერტამ გააკეთა, ვინაც 12-თვიან რეიტინგსიაში 26 ადგილით აღზევდა, რბოლაში კი — 15-ით.

თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ეგებ 19 წლის ფასკუნჯი ჩემპიონის რაფაელ ნადალის წინსვლა იყოს, ვინაც რბოლაში სულაც პირველოსან ფედერერს გაუტოლდა, 12-თვიანში კი ენდი როდიკსა და მარატ საფინს გადაასწრო, ხოლო იმავ ფედერერისგან აქ მხოლოდ ლეიტონ ჰიუიტილა აშორებს. ამ რეიტინგსიაში ყველაზე სწრაფად დაცურდნენ საფრანგეთის შარშანდელ ღია პირველობაზე გამორჩეული არგენტინელები — ჩემპიონი გაუდიო, ფინალისტი კორია და ნახევარფინალისტი ნალბანდიანი.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, იქ მე-12 ალაგიდან მყის ზეათეულში შეიჭრა და მე-7 საფეხურზე დადგა როლანგაროსობის აწ უკვე ორგზის ჩემპიონი ჟუსტინ ენენ-არდენი. ათი ადგილით აინაცვლა და მე-13 ხარისხი დაიკავა თავის მესამე პარიზულ ფინალში გარჯილმა მარი პირსმა. სხვაფრივ ქალთა ამქარში ბევრი არც არაფერი შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ პირველოსანმა დევენპორტმა სეფეჩოგანი დაინარჩუნა და უშუალო მადევარ მაშა შარაპოვასგან გამყოფი ნაპრალი 91 ქულიდან 261-მდე გაიფართოვა.



რაფაელ ნადალი

### 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

**ვაჟები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | (1) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6980 |
| 2 | (2) ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3685 |
| 3 | (5) რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3600 |
| 4 | (3) ენდი როდიკი (აშშ) | 3590 |
| 5 | (4) მარატ საფინი (რუსეთი) | 3065 |
| 6 | (7) ანდრე აგასი (აშშ) | 2275 |
| 7 | (12)ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2085 |
| 8 | (10)გილერმო კანიასი (არგენტინა) | 1990 |
| 9 | (8) ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 1780 |
| 10 | (13)იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) | 1620 |
| 11 | (37)მარიანო პუერტა (არგენტინა) | 1618 |
| 12 | (6) გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1590 |
| 13 | (16)ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1515 |
| 14 | (9) გილერმო კორია (არგენტინა) | 1490 |
| 15 | (21)დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1440 |
| 16 | (17)რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 1435 |
| 16 | (14)ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1435 |
| 18 | (11)დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1385 |
| 19 | (15)კარლოს მოია (ესპანეთი) | 1330 |
| 20 | (19) ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1323 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | (1) ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5257 |
| 2 | (2) მარია შარაპოვა (რუსეთი) | 4986 |
| 3 | (3) ამელი მორეზმო (საფრანგეთი) | 4285 |
| 4 | (4) სერენა უილიამსი (აშშ) | 3781 |
| 5 | (7) სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3212 |
| 6 | (5) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3087 |
| 7 | (12)ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3067 |
| 8 | (9) ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2610 |
| 9 | (8) ალიშა მოლიკი (ავსტრალია) | 2469 |
| 10 | (6) ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2287 |
| 11 | (10)პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2230 |
| 12 | (11)ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2075 |
| 13 | (23)მარი პირსი (საფრანგეთი) | 2002 |
| 14 | (14)ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1758 |
| 15 | (19)ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1746 |
| 16 | (13) ვინუს უილამსი (აშშ) | 1726 |
| 17 | (17)კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1664 |
| 18 | (16)ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1622 |
| 19 | (20)ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1371 |
| 20 | (18)ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1320 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1 | (1) ფედერერი | 665 |
| 1 | (2) ნადალი | 665 |
| 3 | (7) დავიდენკო | [illegible] |
| 4 | (4) საფინი | [illegible] |
| 5 | (6) კორია | [illegible] |
| 6 | (21)პუერტა | [illegible] |
| 7 | (3) ჰიუიტი | [illegible] |
| 8 | (5) როდიკი | [illegible] |
| 9 | (8) გაუდიო | [illegible] |
| 10 | (11)ჰერერი | [illegible] |
| 11 | (9) ლიუბიჩიჩი | [illegible] |
| 12 | (10)აგასი | [illegible] |
| 13 | (17)კანიასი | [illegible] |
| 14 | (12)ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | [illegible] |
| 15 | (13)შტეპანეკი | [illegible] |
| 16 | (23)რობრედო | [illegible] |
| 17 | (15)რიშარ გასკე (საფრანგეთი) | [illegible] |
| 18 | (16)ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | [illegible] |
| 18 | (22)ნალბანდიანი | [illegible] |
| 20 | (18)მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | [illegible] |

# პლანეტის ქალები რუსი მამაკაცების თვალით

**მამაკაცთა** ჟურნალ FHM-ს რუსულმა რედაქციამ მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალთა სია შეადგინა და გამოაქვეყნა კიდეც. ეს ჰიტ-პარადი მკითხველთა გამოკითხვის შედეგად შედგა.

სიაში მსახიობებთან, მომღერლებთან და მოდელებთან ერთად ვხედავთ სპორტსმენებსაც. მათ ალლუმს სათავეში სულაც სპორტსმენი მიუძღვის — მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატი ალინა კაბაევა, რომელიც თითქოს სპორტულ კარიერას გამოემშვიდობა და თითქოს დაუბრუნდა.

რუსმა მამაკაცებმა სიაში მეორმოცე ადგილი მიუჩინეს უმშვენიერეს მარია შარაპოვას, მაგრამ რას ერჩოდნენ რუსი მამაკაცები ამ აშოლტილ ჩოგბურთელს, ეს ვეღარ გავიგეთ. თუმცა, სიის ერთ-ერთ მიმომხილველ მისსავე თანამემამულეს რომ ჰკითხოთ, რუსი კაცების გულგრილობა შარაპოვას წესიერებით აიხსნება.

აი, მარია რომ უზნეო ყოფილიყო, იგი სიაში უფრო დაწინაურდებოდაო. ყოველ შემთხვევაში, ის მიმომხილველი, ბარემ დავაზუსტოთ — ალექსანდრ დუბინსკი, ამბობს: „შესაძლოა, მარია ზემოთ აწეულიყო, იგი რომ რაიმე საინტერესოს დასაწერად იძლეოდეს საბაბს. მაგრამ რუსი ჩოგბურთელი პაემანზე არავის ხვდება, არ ეძალება ნარკოტიკებს, ხოლო ღამღამობით ლესბოსელ-ექსგიბიცინისტების პორნოგრაფიული ჟურნალის ნაცვლად კითხულობს წიგნს „პეპი — გრძელი წინდა". აი, წამოიზრდება, მოხუც მამას გაექცევა, ათასგვარ მორევში გადაეშვება და მერე შეიყვარებენ. თუმცა, ყველანი არა".

აი, მარიას უფროსი კოლეგა ანა კურნიკოვა, რომელზეც თვალი ბევრს რჩება, ამ ყოველივეს არ იკლებს, მაგრამ თანამემამულე მამაკაცები რატომღაც არც მას სწყალობენ და სადღაც ასეულის ბოლოში, 97-ე ადგილზე უჩენენ ადგილს.

ასეულში კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელია — ელენა დემენტიევა. ელენაზე ამბობენ, ეს ქერა და მიმზიდველი სპორტსმენი ცივი და უკარებააო. იმასაც ამბობენ, თითქმის მთელ დროს ჩოგბურთს უთმობს, ცოტას კი მაქსიმ აფინოგენოვსო — მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტს.

უცნაურია, მაგრამ ასეულში ვერ მოხვდა სხვა რუსი ჩოგბურთელი, ნასტია მისკინა, რომელიც უბრალოდ მეჩოგნეთა შორის კი არა, საერთოდ რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად მიაჩნიათ.

რუსმა მამაკაცებმა 44-ე ადგილი მიუჩინეს ვიქტორია ბექჰემს, რომელმაც ჩვენი ყურადღება ახლა იმით მიიპყრო, რომ ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის ცოლია, მაგრამ ქმარზე ნაკლები სახელი რომ არ ჰქონდა დაგდებული, ოღონდ სიმღერაში, ეს მგონი ყველას გადაავიწყდა. და თუ ვინმეს ახსენდება, ისიც პშობიარობების ან ქმრის გამო, თუმცა, რუსეთში, ეტყობა კარგად ახსოვთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ალინა კაბაევა

AFP ფოტოები




# სოფლად, კუნძულზე

ეს სოფელი ტოფტირია, ფარერების კუნძული ესტუროიზე. სოფელში 800 მოსახლეა და მეტ ცოტაა, სამაგიეროდ კი ფეხბურთია ბევრი. ხელოვნურ მოედანზე ბიჭები თამაშობენ.

# მეგარმონე

ამერიკელი ჯორჯ ჰინკაპი (შუაში) და ნორვეგიელი ტერ ჰუსჰოვდი მეგარმონეს უსმენენ. იწყება 57-ე „დუფინ ლიბერეს" ველოტურის მორიგი დღე. სხვათა შორის, ამ დღეს ეტაპი სწორედ ნორვეგიელმა მოიგო, ამერიკელმა კი ლიდერობა შეინარჩუნა.



AFP ფოტოები



# მინორუ მოხუცი

71 წლის იაპონელი ზღვაოსანი მინორუ საიტო ბედნიერია. მან ახლახან გაასრულა თავისი რეისი და ყველაზე მოხუცი ნაოსანი შეიქნა, დედამიწისთვის რომ შემოუვლია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოშტარია, ვაჟა ზუკიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 18 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge